ყოველდღიური მესამე | ფასი 10 კაპ. | ხუთშაბათი, 1917 წ. ივნისის 1 (14)

# საქართველო

ხელის მოწერა და ყოველ გვარი განცხადებანი მიიღება „საქართველო"-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი. თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 116 | ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა | № 116

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისის 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

### ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ი. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

12—708—10

---

საყოველთაო სიძვირე დღითი-დღე იზრდება. ამ სიძვირეს რასაკვირველია ვერ ასცდა გაზეთის გამოცემის საქმეც.

სულ მოკლე ხანში აწყობისა და ბეჭდვის ხარჯი ერთი-სამად გადიდდა, მოიმატა სხვა ხარჯებმაც. ამიტომ იძულებული ვართ, დროებით გავადიდოთ გაზეთის ფასი.

მაისის ოციდან „საქართველოს" თითო ნომერი

## ღირს 10 კაპ.

ამასთანავე პირველ ივნისიდან მომატებული იქნება ხელის-მოწერის ფასიც. წლის ბოლომდე 1 ივნისიდან ღირება 10 მან., 3 თვით 5 მან., ხოლო ერთის თვით 2 მან.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გამოწერილი აქვთ უკვე გაზეთი მთელის წლით, დამატებითი ფული არ გადახდებათ.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საორგანიზაციო ბიურო

ამით აცხადებს, რომ შაბათს, 3 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია ხარფუხის (V უბნის) მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა

## კრება

(სუფ- სარქისის ქუჩა კიპრიზოვის სახლი № 48—განათლების სკოლაში)

კრებაზე განხილულ იქნება საპროგრამო და საორგანიზაციო საკითხები, არჩეულ იქნება სარაიონო კომიტეტი და პარტიის კონფერენციის დელეგატები.

3—714—2

---

სატახტო დიდი გაზეთების პროგრამების მიხედვით

## ნიკოლოზ ალ. დუბროვსკის

რედაქტორობით ივნისის შუა რიცხვებში გამოვა

ყოველ-დღიური საზოგადო, საპოლიტიკო და საეკონომიო გაზეთი

## რესპუბლიკა

**გაზეთის მიზანი:** დემოკრატიულ იდეალების ქადაგება, კავკასიის ერთა სოლიდარობა, ეროვნებისა და შემოქმედ შრომის თავისუფლება ადგილობრივ ცხოვრების ყოველს დარგში. გაზეთი წინააღუდგება იმ ერს, ვინც სხვებზე მოინდომებს გაბატონებას, ჰეგემონიის ხელში ჩაგდებას. იგი ყველას მოუწოდებს მშვიდობიანობისა და ერთობისაკენ, დემოკრატიულს საფუძვლებზე. სოციალურს სფეროში გაზეთი მშრომელთა და საზოგადო—ეკონომიურ პროგრესის ხელის შემწყობთა მხარეზეა. ამასთანავე ერთად გაზეთი დაიცავს ურთიერთის უფლებას, რათა პატივით ეპყრობოდნენ ყველას, ვინც კი კლასის მიუხედავად პატიოსნად ემსახურება საზოგადოებას თვისი ცოდნით თუ შრომით.

**თანამშრომელთა სია ახლო მომავალში იქნება გამოცხადებული.**

**კანტორა და რედაქცია იმყოფება გოლოვინის პრ. ქალაქის სახლი (კრუჟ. ქვეშ)**

**ხელის მოწერა** დროებით მიიღება წიგნის ცენტრალურს სავაჭროში და „ნოვ. რეჩის" მაღაზიაში 1 ივლისიდან. ვინც ამ დღიდან წლის დამლევამდინ გამოიწერს, ის გაზეთს გამოსვლის დღიდანვე მიიღებს მუქთად.

**გაზეთის ფასი ბინაზე მიტანით და გაგზავნით:** წლის დამლევამდე 12 მან. 5 თვით—10 მან., 4 თვით—9 მ., 3 თვით—7 მ., 2 თვით—5 მ., 1 თვით 2 მ. 50 კ.

3—712—3

---

გაზ. „საქართველოსთვის" საჭიროა

## კორექტორი

გამოცდილი, კარგი მცოდნე ქართული ენისა და სათანადო განათლების ცენზიანი.

იკითხეთ გაზ. „საქართველოს" რედაქციაში 10—2 საათამდის.

---

## სახალხო სახლი

ხუთშაბათს, ივნისის 1.

კოტე ფოცხვერაშვილის მეთაურობით და მონაწილეობით გაიმართება სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით

## დიდი ეთნოგრაფიული საღამო—კონცერტი

შემდეგის პროგრამით:

### შესავალი

ცხოველი სანახაობა და სცენა ქართულ ცხოვრებიდგან

1) სიტყვა მუსიკაზე (განსაკუთრებით გურულ-აჭარულზე).
2) ქართლ-კახური გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით
3) გურულ-აჭარული გუნდი ვ. სიმონიშვილის ლოტბარობით.

### მესამე განყოფილება

1) თარი და ფანდური, ქართლ-კახური გუნდის დამღერებით.
2) სტვირი და ჩანგური გურულ-აჭარული გუნდის დამღერებით.
3) ქართული ხალხური სასიმღერო სიმფონიები.

### მეოთხე განყოფილება

1) ქართული ცალფა ცეკვა.
2) თამაში: წყვილი, სამაია, ჯგუფური, ფერხული.
3) გურულ-აჭარული ცეკვა—ხორუმი.

მონაწილეობას მიიღებენ: კ. ფოცხვერაშვილი, მეთარე, მეფანდურე, მესტვირე, მეჩანგურე, ქართლ-კახური გუნდი, საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული გურულ-აჭარული გუნდი, მოცეკვავენი, მოფერხულენი და ქართველი მაჭმადიანები, რომელთა მიერ შესრულებული იქნება დავლით და ჰიმონით იშვიათი სანახაობა—ძველი ქართული, ჯგუფური ცეკვა—ხორუმი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. — დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

1—717—1 აფიშები არ გამოვა

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ხსენებულ უბნის წევრთა და თანამოაზრეთა

## საზოგადო კრება

დანიშნულია პარასკევს, 2 ივნისს, საღამოს 7 საათზე

თბილისის ქართულ გიმნაზიის შენობაში.

კრების საგანია საპროგრამო და საორგანიზაციო საკითხები.

კრების დასასრულს მოხდება დელეგატების არჩევნები პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე დასასწრებლად.

3—714—2

---

## არტისტიული თეატრი

პარასკევს, 2 თიბათვეს, 1917 წ. ქართულ ოპერეტკის დასის მიერ მ. ჯანოევის და ს. რევაზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტკა უ.-ბ. გაჯიბეკოვისა

## არშინ-მალ-ალან

4 მოქ. თარგ. ვ. გიგოშვილისა

დირიჟორი ნ. იბრაგიმოვი. — დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათ.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

2—668—1

გამგენი: რ. ბ. ეფენდიევი, ნ. ჩაგუნავა.

---

საზღმწიფო ბანკის თბილისის კანტორა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ

## თავისუფლების 5% სესხზე

ხელის მოწერის ვადა

## 1917 წ. მკათათვის 15-დის არის გადადებული.

მოურავის თანამდებობის ასრულებელი კოკუშკინი.

3—716—1

---

## თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტი და საპედაგოგიო საბჭო

აცხადებს, რომ გიმნაზიაში ამჟამად თავისუფალია შემდეგი ადგილები: რუსული ენის ერთი შტატის მასწავლებლისა, გერმანული ენის ერთი შტატის მასწავლებლისა, ფრანგული ენის შტატ გარეშე მასწავლებლისა, რომელსაც ექნება არა უმეტეს 18 გაკვეთილისა, კლასის დამრიგებლის ერთის თანაშემწისა და საეკლესიო გუნდის ერთის ლოტბარისა. ჯამაგირი და პენსია შტატის მასწავლებლებისა იგივეა, რაც სახაზინო გიმნაზიებში. შტატს გარეშე მასწავლებელი თვიოეულ წლიურ გაკვეთილში იღებს 70 მანეთს. კლასის დამრიგებლის თანაშემწის წლიური ჯამაგირი 900 მანეთია, ხოლო საეკლესიო გუნდის ლოტბარისა—300 მანეთი. თხოვნები მიიღება 20 ივნისამდის.

2—715—1

---

თბილისი, ივნისი 1.

## ხმა ხალხისა

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობის გუშინწინდელ კრებაზედ ეროვნულ საკითხის შესახებ მიღებულ იქმნა ა. ჩხენკელის რეზოლიუცია. რეზოლიუცია თავის შინაარსით დასკვნაა იმ მოხსენებისა, რომელიც ა. ჩხენკელმა წაიკითხა იმავ ყრილობის ეროვნულ სექციაში. თანახმად ამ მოხსენებისა და თანახმად რეზოლიუციისა ყრილობამ ხმის დიდის უმრავლესობით ტერიტორიალური თვითმართველობა—ავტონომია მიიღო, რაც უნდა დაედოს საფუძვლად დაჩაგრულ ერთა მომავალ თავისუფალ ცხოვრებას თავისუფალ რუსეთში. ტერიტორიალური ავტონომია იმ ერთათვის, რომლებიც განსაზღრულ ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ და კულტურულ-ნაციონალური ავტონომია მათთვის, ვინც შერეულად სცხოვრობენ და ცალკე ტერიტორიალურ ერთეულს არ წარმოადგენენ—აი, ახალი ლოზუნგი, მიღებული ყრილობისაგან. ღირს შესანიშნავი ამ გადაწყვეტილებაში ის არის, რომ ამაში გამოიხატება თვით დემოკრატიის—ხალხის სურვილი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამ ყრილობაზედ ქართველ მუშათა და გლეხთა დელეგაცია ყველაზედ უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი და ქართველ ხმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ რეზოლიუციის მიღებაში, იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ ოცდა-ათ მაისის კრების გადაწყვეტილება პირველი მაგალითია საქართველოსათვის, როცა ეროვნული იდეა ზევიდან კი არ მიდის მასაში, როგორც პარტიული დოქტრინა, არამედ ქვევიდან ზევით, როგორც საყოველთაო და შეგნებული სურვილი ეროვნულ საკითხის გადაწყვეტისა თვით ხალხში, თვით დემოკრატიაში, ქართველი ერის დიდ უმრავლესობაში.

მუშათა და გლეხთა წარმომადგენლებმა ამ რეზოლიუციით აშკარად სთქვეს, რომ თავისუფალ რუსეთში არა თავისუფალი ერები აღარ უნდა იყვნენ. ამიერიდგან საქართველოს ავტონომიას თვით ქართველ ხალხის სახით, როგორც ეს ბევრს ეგონა, „მტერი" აღარა ჰყავს და იდეამ ქართველ ხალხის თვითმართველობის აშკარად, ნათლად და ამაყად უნდა იაროს ქართველ ხალხში. თავდება ეპოხა მოშხამული ინსინუაციებით, ურთიერთ გაუგებრობით, ალსავსე იქვით მომავალზე და დგება ახალი ხანა, რომელშიაც ქართველი ხალხი, რევოლუციონურად დარაზმული, ორგანიზაციულად შეკავშირებული და ტაქტიკურად გამოცდილი ერთის ლოზუნგის ქვეშ დგება. რაც უნდა ოლრო-ჩოლრო დაჰყვეს პირველ დღეებში ამ ლოზუნგს, რამდენი კამათიც არ უნდა გამოიწვიოს პარტიებს შორის იმ დეტალებმა, რომელსაც ჰგულისხმობს ა. ჩხენკელის პროექტი საქართველოს ავტონომიის შესახებ—ცხადია ერთი, რომ საერთო ენა გამოძებნილია და გასაღები ამოცანისა თვით ქართველ ხალის ხელშია. გონება და ტაქტი მუდამ გამოსძებნის იმ საერთო ნიადაგს, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს მომავალი თავისუფლება ქართველის ერისა.

ქართველ მუშათა და გლეხთა გარდაწყვეტილებას ჩვენ ისტორიულ მნიშვნელობას ვაძლევთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ გადავდივართ ახალ ხანაში, საიდანაც ჩვენი მომავალი უფრო აშკარად სჩანს.

## კადეტების პოლიტიკა

რუსეთის კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტია თავის თავს სთვლის ერთად ერთ სახელმწიფოებრივ პარტიათ. დღიდან დაარსებისა მისი ხელმძღვანელნი არ უშვებენ სულ მცირე შემთხვევასაც კი, რომ ამაზე ხმა არ მაღლა იძახონ.

როცა რუსეთი ასპარეზად გაიხადეს სოციალისტურმა პარტიებმა, კადეტების პოლიტიკა ამ მხრივ უფრო ინტერესს იწვევს; კადეტებს მიეცათ საშუალება უპასუხისმგებლო ოპოზიციიდან პირდაპირ გადასულიყვნენ სახელმწიფოებრივ მუშაობაზე და ხელში აეღოთ ის უფლება, რომლის კანონიერ და ერთად ერთ მემკვიდრეთ თავიანთ თავს სთვლიდენ. მაგრამ აქ გამოჩნდა რამდენად ზედმეტად აფასებდენ ისინი თავიანთ შეძლებას, რამდენად გაზვიადებული იყო მათი თავის თავზე წარმოდგენა და გამხრწნელი მთავრობასთან უშუალოდ ბრძოლა. ძველი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება, რამდენადაც ის გამოიხატებოდა საქმიან სფეროში, გაუთავებელი დუელი იყო მთავრობას და მათ შორის. მთავრობაც და ოპოზიციაც თავის თავს სახელმწიფოს უთანასწორებდა და კომპრომისი უკვე დამარცხებად ეჩვენებოდა. ყოველი რეფორმა დაგვიანებული იყო და როგორც ასეთი, შინაარსს მოკლებული. შემდეგ ომისგან ამოვარდნილმა ქარტეხილმა და საგარეო და საშინაო ცხოვრების გართულებამ თავის თავად გამოიწვია ბუნებრივი სიკვდილი ძველი მთავრობის, მაგრამ კადეტებს ემძიმათ ის ტვირთი სახელმწიფოებრივი შენების. რევოლიუციის პირველ დღეებიდან ისინი თანდათან სტოვებენ ერთად და უბრძოლველად დაჭერილ პოზიციებს. პირველი გამოცდა შინაურ ცხოვრებაში მოხდა. პავლე მილიუკოვი რომელიც განებივრებული იყო პარტიის ნდობით და მიჩვეული ხშირად პირად პოლიტიკის წარმოებას, თავბრუ დახვეული თავის უკანასკნელი გამოსვლებით სახ. დუმაში თავზე იღებს ისეთი საკითხის გადაწყვეტას, როგორიც მიხეილ ალექსანდრეს ძის რეგენტად დანიშვნაა. ეს ექსპერიმენტი ძალიან სამწუხაროთ გათავდა მისთვის და მისი პარტიისთვის. ერთგვარი კომპენსაცია იყო ამ შეცდომის გასასწორებლად, რომ სახელმწიფოებრივმა პარტიამ, რომელიც აღზრდილი იყო სულ წინააღმდეგ ტრადიციებზე, პირველ დღეებშივე, როცა მიახლოვებითი გათვალისწინებაც არ შეიძლებოდა მოსალოდნელი პოლიტიკურ ცხოვრების გართულებისა, თავისთავი რესპუბლიკანელად გამოაცხადა. თქმა არ უნდა ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ პირველ ამღვრეულ დღეებში შეეძლო თვითონ კადეტების პარტიაში ერთსულოვნობა გამოეწვია, უკმაყოფილონი ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ, მხოლოდ არა სადიდხანოთ.

მეორე გამოცდა კადეტების გამოიწვია ომის და ზავისადმი განწყობილებამ. კადეტებმა აქაც იწვნიეს სასტიკი დამარცხება. ამ დროისთვის პ. მილიუკოვი იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა საგარეო მინისტრობისთვის და თავის ნაჩვევ ოპოზიციონერის როლზე გადასულიყო; ამნაირად ის თავის პარტიით მხოლოდ შორეული მაყურებელი ხდება რუსეთის სახელმწიფოს ბედის გადაწყვეტისა.

ამ დიდ საპარადო გამოსვლების გარდა კადეტები ყოველ დღე ნელ-ნელ ყლაპავენ მწარე პილიულებს. ყოველი საქმე, რომელსაც თითქო ირონიისთვის პირველადვე კადეტებს აწყებინებენ, ჩერდება ერთ წერტილზე და მხოლოდ კადეტების შეცვლა სოციალისტურ ან სხვა გარეშე ჯგუფის წარმომადგენლებისგან ამთავრებს საქმეს.

კადეტები იძულებულნი არიან მის მაგიერ, რომ სხვები გაიყოლიონ უკან, თვითონ მისდევდენ სხვებს. რასაკვირველია ეს არ არის ბედი ყველა კადეტების მონათესავე პარტიების. ისტორიული წინააღმდეგი პარალელები შორს წაგვიყვანდა. კადეტების პოლიტიკის უნაყოფობის მიზეზი ის არის, რომ ისინი მოკლებული არიან ალღოს რეალი პირობის გაგებისას, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების არაბუნებრივი განვითრება ამას წინდაწინ სწყვეტდა მათთვის; ამის გარდა რუსეთის სახელმწიფოსაც ბევრი აქვს საბედისწერო ზედნაშენი, რომელიც თავიდან დაჰყვა და მასთან ერთად ვითარდებოდა. კადეტები დორ-

ბლით პირზე ამტკიცებენ დოგმატიკოსობას სოციალისტურ პარტიებისას, მაგრამ „დოგმატიური კორსეტი" ისე არავის უჭერს, როგორც მათ. ყოველ შემთხვევაში რუსეთის სოც.-დემოკრატიას მეტი უფლება აქვს ილაპარაკოს ევროპიულ და კერძოთ გერმანულ სოციალისტების ანალოგიით ვინემ კადეტებს ტრეიჩკეს, რორბახის და სხვა იმპერიალისტების თანაბრად. კულტურულ ფონის უქონლობა უკანასკნელთათვის უფრო სავალალოა. ისე არსად არ უსწრებს იდეოლოგია წინ ფაქტიურ განწყობილებას, როგორც კადეტების შეგნებაში. დამახასიათებელია ყველაზე უფრო არა სახელმწიფოებრივი პარტიის წევრის წარსულში მაინც ე.ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას ქალის პასუხი კადეტების დარდანელის და სრუტეების გარშემო ატეხილ ორონტრიალზე.

ამ მოხუც ქალს შერჩენია მეტი სიფხიზლე, როცა ამბობს: საქმე იმაში კი არ არის, დარდანელი გინდათ თუ არა, საქმე იმაშია, შეგიძლიათ თუ არა მისი დაპყრობა... ამნაირად ჰაერში დაკიდებული რჩება ყოველი იმპერიალისტური პროექტი კადეტებისა; და დიდხანს დარჩება კიდევ, სანამ ბევრ სხვა მიზეზებს შორის დარჩება ორი მიზეზი, რომელნიც შეუძლებლად ხდის გამწევ იმპერიალისტურ პოლიტიკას, სანამ რუსეთის სახელმწიფოს ბედით დაინტერესებულია ნახევარზე მეტი არა-რუსი ეროვნებანი რუსეთში, რომელნიც ვერასდროს ვერ მოინელებენ და არც მოითმენენ ამ პოლიტიკას, და აგრეთვე რუსეთის გლეხობა, რომელიც ხელში ეკავება ისეთ პარტიას, როგორც ს.-რევოლუციონერებია.

რაც შეეხება გლეხობას, რომელზედაც ემყარება ყველა სახელმწიფო, როგორც ერთ მაგარ ბურჯზე, კადეტებმა თუმცა ბევრი ეცადეს და საიმისოდ დემაგოგიურ გამოსვლასაც არ დაერიდენ I-ლ სახელ. სათათბიროში, რომელსაც არ იკადრებდა სხვა ამნაირივე პარტია სხვა ქვეყანაში, მაინც მათი გული ვერ მოიგეს და ვერც აწი მოიგებენ. სამაგიეროდ უფრო პირდაპირია მათი პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში. ვერც ერთ ერში, რომელიც რუსეთში სახლობს და ანგარიშს გაუწევს ფარულ და გამოჩენილ იმპერიალისტურ მადას, კადეტები ვერ გამოიწვევენ თანაგრძნობას. ჯერ კიდევ, როცა ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო პოლონეთის საკითხი, კადეტები ადგენ შეურიგებელ პოლიტიკას პოლონეთისადმი, მხოლოდ რევოლიუციის აღელვებამ გამოიწვია მათი რადიკალობა ამ საკითხში. სხვა ეროვნებისადმი მათ ახასიათებს შეურიგებლობა და უკანასკნელ კონფერენციაზე პეტროგრადში ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა საბოლოოდ აუხსნის თვალებს ყველას, ვისაც სჯეროდა მათი პოლიტიკური ტაქტი, ყოველი დღე კადეტებს აცალკევებს და ამარტოვებს მიმდინარე ცხოვრებიდან. დღეს არავის აშინებს მათი მუქარა.

სახელმწიფოებრივი პარტიისთვის თვითმკვლელობასავით იყო მილიუკოვის სიტყვები:

— ბატონებო, მე ხომ ძველი პროფესორი ვარ—ყოველ შემთხვევაში ეს არ ეგუება მის შემდეგ განცხადებას—რევოლიუციის გამოწვევაც შეიძლება და შეჩერებაცო.

რევოლიუციის გამოწვევაში კადეტებს არ მიუძღვის მაინც და მაინც დიდი დამსახურება; უფრო ნაკლები იქნება მათი როლი რევოლიუციის შეჩერებაში. საკმაოდ დიდხანს ზიდა რუსეთის თავად-აზნაურობამ ბიუროკრატიული სახელმწიფო, რომ, თუ საჭირო იქნა, რევოლიუციის შეჩერება იქ პირველობა ვისმეს დაუთმობს. და თუ რევოლიუციის შეჩერებაში ბურჟუაზიაც გაერევა, იმასაც ჰყავს სხვა იდეოლოგები, ვინემ ძველი პროფესორები და მისტიკოსი მწერლები, რომელნიც ეხლა უდგანან სათავეში კადეტების პარტიას.

ტიტე ტაბიძე.

## უსაზღვრო ეკლესია

ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა პირადად თუ წერილობით შეგვეტყობინებინა ჩვენი ეკლესიის მთავარგამგებლისთვის, რომ არცერთი ეკლესია არ არის უსაზღვრო და რომ ივერიის ეკლესიასაც ექნებოდა თავის საზღვრები, რომლის გადაბიჯების უფლება არავისა აქვს და ბრძანების კილოთი გაილაშქროს. მიუხედავად ამისა, ლვოვის მიერ საქართველოში გაგზავნილი სასულიერო კომისარი პროფ. ბენეშევიჩი მოითხოვს არა თუ რუსის მრევლი გამოეყოს ივერიის საკათალიკოსოდან, არამედ იგი შეუპოვრად ედავება ზოგიერთა მონასტრებს და ეკლესიებს, რომელნიც არასოდეს რუსის ეკლესიის საკუთრებას არ წარმოადგენდნენ. ამნაირად, გაცარცულ ქართულ ეკლესიის ახალი გაქურდვა და განადგურება უნდათ ჩვენი ეკლესიის ახალს მმართველთ.

ჩვენი გულწრფელი რჩევა ივერიის სამოციქულო ეკლესიის შვილთადმი ისაა, რომ ფხიზელი დარაჯობა გაუწიონ თავიანთს საუნჯეს. სად იყო ჩვენი ეკლესია ამ XV საუკუნის განმავლობაში, როდესაც ქართველი სისხლს ჰღვრიდა თავისუფლებისა და რწმენისათვის? იგი მხოლოდ იმიტომ გამოჩნდა საქართველოს ჰორიზონტზე, რომ დაერღვია მეფე ერეკლე II და ეკატერინე II შუა დადებული ხელშეკრულება, მთელი საქართველოს გასანადგურებლად, რათა ეკლესიების თვის ჩამოერთმია მამულები, გაენადგურებინა მისი ტაძრები, სრულს სიღატაკემდე მიეყვანა მორწმუნე ერი, ხოლო სამეფო საგვარეულო ბაგრატიონებისა ლატაკ-მათხოვრებად გამოერეკნათ.

თავიანთ ეკლესიის საზღვრები ქართველებმა უნდა განსაზღვრონ საეკლესიო აქტებისა და საქმე მოციქულთა მიხედვით. თუ რომ რუსული ანტიკანონიური საეკლესიო მთავრობა გარდასწყვეტს გაჰქელოს ივერიის ეკლესიის უფლებანი, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა აღზდგეს და უზურპატორებს უწმიდესი კანონების მიხედვით მოექცნენ, ესე-იგი: გამოუცხადონ თავხედს ეგზარხოსს კირპლატონს და სოხუმის რუს ეპისკოპოსს სერგის, რომ ივერიის ეკლესია რუსეთის ეკლესიასთან სწყვეტენ ყოველგვარს კავშირს ასეთის ანტიეკლესიური პროპაგანდისა და მოძმე ეკლესიის შეურაცხყოფისათვის, იცნონ რუსის არქიელთა ეკლესიის თავობა გაბათილებულად, და განდევნონ ივერიის ავტოკეფალურ ეკლესიის საზღვრებიდან ყველა იერარქები და მღვდელ-მონოზნები, რომელთაც არაესაქმებათ რა და არავითარი ნდობითაც არ არიან აღჭურვილნი უცხო ეკლესიაში იბატონონ. ამ საქმეში ივერიის ეკლესიას მხარს დაუჭერს მთელი მართლმადიდებელი ეკლესია და სასურველს მსჯავრსაც დასდებს რუსის ცრუ სინოდს საქართველოს ეკლესიის უფლებების ფეხქვეშ გათელისათვის. („პეტ. ვედ.")

ნ. დურნოვო.

## ქართული პრესა

**საქალაქო არჩევნები და უცხოელები**

გაზეთი „ერთობა" ითვალისწინებს მომავალ არჩევნების გარემოებებს და იმ საშუალებებს, რომელსაც შესაძლოა მიმართონ თბილისის თვითმართველობის ახლანდელმა პატრონებმა და სამართლიანად სწერს:

ქალაქში ოთხმოციათასამდე უცხოეთის ქვეშევრდომი არის, უმთავრესად ოსმალეთიდან და სპარსეთიდან გადმოხვეწილნი. ამათ საარჩევნო უფლება არა აქვთ, ქალაქში მრავალია აგრეთვე ისეთი პირი, რომლებსაც სასამართლოს მიერ წართმეული აქვს საარჩევნო უფლება. გახსოვდეთ, რომ არცერთი უცხოეთის ქვეშევრდომი არ უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო სიაში! არ უნდა იქნას შეტანილი სიაში ის პირი, რომელსაც საარჩევნო უფლება წართმეული აქვს! თვალ-ყური ადევნეთ, რომ მათი ხმებით არ ისარგებლონ დემოკრატიასთან საბრძოლველად.

* *

**ავტონომია და ქართველი ხალხი.**

პოლიტიკური თვითმართველობის აზრი თანდათან მკვიდრდება ქართველი ხალხის შეგნებაში. გაზეთ „ერთობის" უკანასკნელ ნომრებში ორი ცნობა არის მოთავსებული. ერთი ცნობა ამბობს, რომ სოფელ ალვანში (თიანეთის მაზრა)

„დიდი მიტინგი მომხდარა. ორატორებს ულაპარაკიათ თანამედროვე მომენტზე. შემდეგ მიუღიათ რეზოლიუცია: უნდა მოვითხოვოთ რუსეთში დამყარებულ იქმნეს დემოკრატიული რესპუბლიკა და ყოველ ერს საშუალება ჰქონდეს თავის მართვა-გამგეობა ისე მოაწყოს, როგორც მისთვის საჭირო და სასურველია. კერძოდ საქართველომ უნდა მიიღოს ტერიტორიალური ავტონომია და ამავე დროს რუსეთთან განუყოფელად დარჩეს".

მეორე ცნობა გვეუბნება:

„იმერეთის სამრევლო სკოლების 200 კაცისაგან შემდგარმა მასწავლებელთა კრებამ მაისის 25 ქუთაისში ხმის დიდი უმრავლესობით შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: სალამს ვუძღვნით განახლებულ დროებით მთავრობას და ვფიცავთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ მოპოებულ თავისუფლებას დარწმუნებულნი, რომ ყველა ერის სკოლები განთავისუფლებულ იქნებიან და, რომ ყველა დაჩაგრულ ერს და მათ შორის ქართველებსაც მიენიჭება დემოკრატიული ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია".

# რევოლუცია

## დეპეშები

**კრონშტადტის ამბები.**

**პეტროგრადი.** მაისის 29. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დელეგატმა, პეტროგრადის მეცხოვნე ჯარის საერთო კრებაზე, მოხსენება წაიკითხა რუსეთის საერთო მდგომარეობის შესახებ. კრებამ, კამათის შემდეგ, მიიღო რეზოლიუცია, რომლის ძალითაც კრონშტადტის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს ევალება კოალიციონურ მთავრობის ბრძანებათა შესრულება თავის დანაშაულობის გამოსასყიდლათ, ხოლო პეტროგრადის დეპუტატთა საბჭომ უნდა გადაათვალიეროს თავისი დადგენილებანი კრონშტადტის ამბის შესახებ და შესცვალოს მისი გაკიცხვა. მაისის 28-ს კვლავ მოხდა მეცხოვნე ჯარის ყრილობა, მაგრამ ეხლა ყრილობას კრონშტადტის აღმასრულებელ კომიტეტის 10 წარმომადგენელნიც დაესწრო, რომლებმაც არაფერი რეზოლიუციის საწინააღმდეგო არა სთქვეს რა და მზად იყვნენ გაეყვანათ თავისი, წინა დღეს უარყოფილი მოწოდება. კენჭის ყრის შემდეგ შედეგი გამოურკვეველი დარჩა და კრებამ გადასწყვიტა ეს მოწოდება ცალკ-ცალკე კენჭის საყრელად როტებს გადასცეს.

**გლეხთა ყრილობა და კრონშტადტის ამბები.**

**პეტროგრადი.** მაისის 29. სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობა უკვე გათავდა. კრონშტადტში მომხდარ ამბების გამო დიდი სიტყვა წარმოსთქვა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრ წერეთელმა, რომელმაც ამხილა და სასტიკად დაჰგმო კრონშტადტელთა საქციელი. მინისტრს მეუმრავლესეთა წარმომადგენელი გამოეხმაურა.

ყრილობამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც კრონშტადტელთა საქციელი რევოლიუციის საქმისათვის ფრიად მავნებლად და საზიანოდ აღიარა. ამასთანავე ყრილობამ დაჰგმო სეპარატიული მოქმედებანი. დასასრულ, სიტყვა სთქვა სასურსათო მინისტრმა პეშეხონოვმა, რომელმაც ყრილობას ანარქიასთან საბრძოლველად მოუწოდა.

**კერენსკის მოსკოვიდან დაბრუნება.**

**პეტროგრადი.** მაისის 29. დღეს მოსკოვიდან დაბრუნდა საზღვაო სამხედრო მინისტრი კერენსკი. მინისტრს შეეგებნენ პეტროგრადის ოლქის ჯარების მთავარსარდალი პოლოვცევი, მისი თანაშემწე კუზმინი, შტაბის წევრები და სხ. მიესალმა რა დამხვედრთ, მინისტრმა დაათვალიერა საპატიო ყარაული და დიდი ოვაციებით სადგურზე გაემართა.

**რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 29. დღეს ფინანსთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს სთქვა, რომ რუსეთის დღევანდელი საფინანსო მდგომარეობა მეტად უნუგეშოაო. ამ უშემოსავლობაში ხარჯები დღითი დღე მატულობს, შემოსავლის გასაძლიერებლად სწრაფი ზომები არის საჭირო. საჭიროა ახალი გადასახადების შემოღება. გადასახადი ჯარის ბანაკშიაც უნდა შემოვიღოთ მოსალოდნელია ახალი საკრედიტო ოპერაციები.

**ებრაელ აფიცერთა წინააღმდეგ.**

**ოჩაკოვი.** მაისის 29. (შემთხვევითი) ამას წინედ ოფიცერთა საგანგებო საბჭოს დაუდგენია ჯარში ებრაელი აფიცრები არ მივიღოთო, რადგანაც სრულიად უნიჭონი და ამ საქმისათვის გამოუსადეგარნი აღმოჩნდენო. ოჩაკოვის ციხის დეპუტატთა საბჭომ დაადგინა, რომ ეს შეხედულობა ებრაელებზე ძველი რეჟიმის დროისა არისო და ახლა ეროვნებათა თავისუფლების ხანაში ამ გვარი მოქმედება ებრაელთა წინააღმდეგ ფრიად დასაგმობიაო.

**ქშესინსკის სასახლეში.**

**პეტროგრადი.** მაისის 29. დღეს გათავდა მომრიგებელ მოსამართლის მიერ მიცემული ვადა, რომლითაც ქშესინსკის სასახლიდან უნდა გასულიყო სამხედრო-საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ორგანიზაციებმა იუსტიციის მინისტრს სთხოვეს, რათა გასვლის ვადა კვლავ ერთი კვირით გაეგრძელებინა. ქშესინსკის რწმუნებული ხესინი ამაზე დასთანხმდა. ორგანიზაცია ყველა დირექტივებს კრონშტადტის დეპუტატთა საბჭოდან იღებს. დღეს ქშესინსკის სასახლეში ზოგიერთ ნივთების წასაღებად მოვიდნენ ქშესინსკის „არტელშჩიკები", მაგრამ ორგანიზაციებმა მხოლოდ მაშინ მისცეს წასაღებად ნივთები, როცა ნებართვისთვის ტელეფონით კრონშტადტის საბჭოს შეეკითხნენ.

**საარჩევნო უფლება და ხნოვანება.**

**პეტროგრადი.** მაისის 29. დამფუძნებელ კრების მოწვევის გამო შედგენილმა საგანგებო კომისიამ მსჯელობა იქონია აქტიურ და პასიურ არჩევის უფლებაზე. რადგან კომისია ამრჩეველთა წლოვანების საკითხში ორ ნაწილად გაიყო, ამიტომ ორი მომხსენებელი იყო. პირველი მომხსენებელი დობრონიცკი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სახელით, მოითხოვდა წლოვანების ცენზად 18 წელიწადი უნდა იყვეს, რადგან სოფლებში 18 წლის ვაჟები უკვე სრულწლოვანებად ითვლებიან და ამას გარდა ჯარშიაც არიან გაწვეულნიო. მეორე მომხსენებელი სოროკინი, გლეხთა დეპუტატების საბჭოს სახელით მოითხოვდა არჩევის უფლება წლოვანების მიუხედავად მიეციოთო. კამათში მონაწილეობდნენ ბრუსოვიჩი, მაკლაკოვი, ბრამსონი და სხვები. ხმის უმრავლესობით მიიღეს გრუზენბერგის შესწორება იმის შესახებ, რომ ჯარში გაწვეულნი, წლოვანების მიუხედავად, მონაწილეობენ არჩევნებში, ხოლო დანარჩენებისათვის წლოვანების ცენზათ 20 წელი გადასწყდა.

**გუბერნატორების დათხოვნა.**

**პეტროგრადი,** მაისის 29. დროებით მთავრობის განკარგულებით თანამდებობიდგან გადაყენებულ არიან: ამურის ოლქის გენერალ-გუბერნატორი გონდატტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს წევრი იაბლონსკი და გუბერნატორები: ხარკოვის კელეპოვსკი, ლიფლიანდიის შიდლოვსკი და ვოლოგდის არაპოვი.

**ტარიფის მომატება.**

**პეტროგრადი.** მაისის 29. დროებით მთავრობამ დაადგინა სამგზავრო ტარიფი 50 პროც., ხოლო საბარგო 200 პრ. გაადიდოს.

**სახელმწ. კონტროლერის ამხანაგის დანიშვნა.**

**პეტროგრადი.** მაისის 29. სახელმწიფო კონტროლის ამხანაგად დანიშნულია სახელმწიფოს კონტროლერის საბჭოს წევრი სკიპეტროვი.

**სამხედრო კავშირის „პირად მაგალითის" მოხვლა მოსკოვში.**

**პეტროგრადი.** მაისის 30. მოსკოვში მოვიდა სამხედრო კავშირის „პირად მაგალითის" დელეგაცია დეინის, ზასულიჩის, ვოლიშევის და პროფესორ პერესის მეთაურობით. მისი მიზანია პროპაგანდის გაწევა მტრის საწინააღმდეგოდ.

**კერენსკის განკარგულება**

**ნიჟნი-ნოვგოროდი,** მაისის 29. ნიჟნი-ნოვგოროდში მოკლულ ტეხნიკის ანდრეევის საქმის გამო დაჭერილი ორი ჯარისკაცი, პოლკის მოთხოვნილებისამებრ და ექსცესების თავიდგან ასაცდენად, სატუსაღოდგან გაანთავისუფლეს. ამის გამო სამხედრო-საზღვაო მინისტრმა კერენსკიმ დეპეშა გამოჰგზავნა და უბრძანა პოლკს ოცდაოთხ საათში დამნაშავეთა გაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლკს დაშლა მოელისო. მოხდა პოლკის კრება და დამნაშავე ჯარისკაცები მთავრობას გადასცეს.

**ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ.**

**ვორონეჟი.** მაისის 29. ქალაქში ადგილობრივ მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მიერ გამოკრულია განცხადება, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „საბჭოს წინააღმდეგ აგიტაცია დღითი-დღე იზრდება. ბნელმა ძალებმა საბჭოს წინააღმდეგ თავი წამოჰყვეს და ჩვენც იძულებულნი გავხდებით მათ საწინააღმდეგოდ იარაღი ვიხმაროთ. შემდეგ ჯარისკაცთა მისამართით ნათქვამია: თქვენშია ხსნა რევოლუციისა. თქვენი განწირულება საშინელია. ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის და გვგონია, რომ გავიმარჯვებთ. ცხოვრებამ ჩვენს კონტროლის ქვეშე უნდა გაიაროს. დასასრულ, ნათქვამია: რადგანაც მიტინგი ყველაზე კარგი ფორმაა სარეაქციო მოქმედებისათვის, ამისთვის ამ კვირია მიტინგები აღკრძალულია. შემდეგში მიტინგები საღამოს 10 ს. უნდა გათავდეს.

**ქ. ტამბოვის დამოუკიდებლობა.**

**ტამბოვი,** მაისის 30. ქ. კირსანოვის ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ვაჭარი ტრუნინი, რომელმაც ქალაქი და მაზრაც მთავრობისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა. ტრუნინი თავის თავს ხალხის მიერ ამორჩეულ გენერალ-პროკურორს უწოდებს. მას მხარს უჭერს ის ჯარის კაცებიც, რომელიც ტრუნინისაგან უფასოდ იღებს ღვინოს და თამბაქოს. ქალაქის კომენდანტად დანიშნულია ეფრეიტორი. ინტელიგენცია ქალაქს თავს ანებებს. მდგომარეობა სერიოზულია.

**კრონშტადტის მდგომარეობა**

**პეტროგრადი,** მაისის 29. მაისის 28-ს დროებით მთავრობის სხდომაზე მოვიდნენ კრონშტადტის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ლამონოვი და კრონშტადტის საბჭოს მიერ ახლად არჩეული კრონშტადტის კომენდანტის თანაშემწე პარჩევსკი. ლამონოვი სთხოვს მთავრობას, პარჩევსკი თანამდებობაზე დაამტკიცოს. დღეს მთავრობამ არა ოფიციალი ცნობები მიიღო, რომ სამოსწავლო გემები უკვე გავიდნენ ზღვაში და სხვანიც გასასვლელად ემზადებიანო. თავადმა ლვოვმა კრონშტადტის დელეგატებს კითხვა მისცა, თუ რომელი გემები გამოვიდნენ კრონშტადტიდან ლამანოვს ეს ცნობები არ აღმოაჩნდა და სურვილი განაცხადა, რომ კრონშტადტში ტელეფონით შეეკითხებოდა. ჟურნალისტთან საუბარში ლამანოვმა განაცხადა, რომ კრონშტადტში დიდი არეულობაა და კრონშტადტის ავტონომიურ ერთეულად გამოყოფაზე სრულიად არ ლაპარაკობენ. დაღამებისას, კრონშტადტის მდგომარეობა არ გამორკვეულა.

# ეროვნული საკითხი

## გაზეთებიდან.

**პოლონეთის ჯარი.**

პოლონეთის მსროლელთა დივიზიამ იკისრა პოლონეთის ჯარის დაარსების ინიციატივა.

ამის გამო კიევში ამას წინად მოხდა ზემოხსენებულ დივიზიის დელეგატთა ყრილობა, რომელზედაც შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

1) ჩვენი მიზანია შევაერთოთ სამად დაჩეხილი სხეული პოლონეთისა და მისი დამოუკიდებლობა აღვადგინოთ.

2) ყოველ ერს ეძლევა უფლება თვით-გამორკვევისა და თავისი ბედის გადაჭრისა.

3) პოლონეთის [illegible] სეიმმა უნდა გამოარკვიოს პოლონეთის სახელმწიფოს ფორმა და მისი მართვა-გამგეობა. სეიმის არჩევნები უნდა მოხდეს სწორი, ფარული და თანასწორი ხმის მიცემით.

4) მომავალ პოლონეთის სახელმწიფოში ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა და სჯულის, უფლებით თანასწორნი იქნებიან.

5) ნდობა გამოუცხადოს შეთანხმების სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ მარტო რუსეთის პოლონეთის განთავისუფლება კი არა, არამედ სამივე ნაწილის გაერთიანება ერთ პოლიტიკურ სახელმწიფოდ.

6) ამის მისაღწევად საჭიროა ეხლავე დაარსდეს პოლონეთის ეროვნული ჯარი.

7) პოლონეთის ჯარმა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა იბრძოლოს პოლონეთის საკეთილდღეოდ და მის დამოუკიდებლობის აღსადგენად.

8) პოლონეთის არმიის ჯარის-კაცები და ოფიცრები სრულ უფლებიანი მოქალაქეები არიან.

9) ყოველ ოფიცერს თუ ჯარის-კაცს სამღვთო მოვალეობაა დაემორჩილოს პოლონეთის სეიმის მიერ მიღებულს სამხედრო წესებს.

10) ვიცით რა, რომ ჯარი უხალხოდ ვერ იარსებებს, ჩვენ ეხლავე მოვუწოდებთ ყოველ მამულიშვილს ჩაეწეროს პოლონეთის ეროვნულ ჯარში და ხელი შეუწყოს თვით პოლონეთის აღდგენას.

**ფინეთი.**

**ჰელსინგფორსი.** მაისის 29. პრესა მიესალმება დროებითი მთავრობის კანონპროექტს ფინეთის სენატის უფლებათა გაფართოების შესახებ და ჰგულისხმობს რომ ეს პირველი ნაბიჯია ფინეთის თავისუფლების პრინციპის განსახორციელებლად. ფინეთის პრესასა სწამს, რომ ეს პროექტი საბოლოოდ გამოარკვევს რუს-ფინელთა დამოკიდებულებას.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი,** მაისის 30. **დასავლეთის ასპარეზი.** ჩვენი ბატარეა მედგრად ესროდა დ. მეერიშკის, ვერეჩის ჩრდილოეთით 52 ვერსის მანძილის დაშორებით. ამ რაიონში დაბინავებული მტერი ილტოდა. დიკოვიჩი-ბოლშიესთან, პინსკის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენმა არტილერიამ მტრის სასურსათო ურმები დიდად დააზარალა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სროლაა.

**რუმინეთის ბრძოლის ველზე** სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.** კასრიშირინის აღმოსავლეთით, ქურთებმა ჩვენს ტრანსპორტზე იერიში მოიტანეს; თავ-დასხმა მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** იაკობშტადტის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ერთი მფრინავი მანქანა გერმანელთა არტილერიამ ჩამოაგდო. იგი ჩვენს რაიონში დაეშვა. მფრინავი, კაპიტანი კურილოვი, დაიღუპა. მანქანა დაიმსხვრა. ზბრუჩის რაიონში, გალიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მტერმა ჩვენი ჰაეროსტატი დასწვა. მეთვალყურე აფიცერი სიკვდილს გადარჩა.

**ინგლისის ცნობა.**

**ლონდონი.** მაისის 30. **ოფიციალი.** დილით მაისის 29-ში ლაპოტერის ფერმასთან ჩვენ შვიდი ვერსის მანძილზე თხრილები ხელთ ვიგდეთ. ტყვეები და იარაღიც წამოვიღეთ.

**ლონდონი.** მაისის 30. **ოფიციალი.** დილის 5 საათზე ჩვენმა პატრულების გემმა აღმოაჩინა გერმანელთა 5 ჰიდრო-ჰაეროპლანების რაზმი; გემი მედგრად ესროდა ჰიდროპლანებს, სხვათა შორის ერთიც განადგურებულია. ორი მფრინავი ტყვედ წამოყვანილია.

**ლონდონი,** მაისის 21. **ოფიციალი.** იპრის სამხრეთ რაიონში დღის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა იყო. მდინარე სუშეს სამხრეთით ბრიტანელები მტერს უეცრად დაესხნენ თავს. ფონტენ-ლაკრუა-ბელის რაიონში მტრის არტილერია ენერგიულად მოქმედებდა.

გუშინ საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ გერმანელთა 6 ჰაეროპლანი. ჩვენ 3 აპარატი დაგვაკლდა.

**ლონდონი,** მაისის 29. **ოფიციალი.** ეპეის აღმოსავლეთით გუშინ ღამე საარტილერიო ბრძოლა იყო. ლა-ბასეს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ მტრის თხრილებში შევეჭრით, დავაზიანეთ და 18 ტყვე წამოვიყვანეთ. ვერმელის აღმოსავლეთით და არმანტიერის სამხრეთით ჩვენ მტერს თავს დავესხით. იპრთან საარტილერიო ბრძოლაა. მესინის სამხრეთით ჩვენ წინ წავიწიეთ.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მაისის 29. **ხადამის ოფიციალი.** კურსთან მტრის ორმა იერიშმა ჩვენს სადარაჯოზედ უნაყოფოდ ჩაიარა. ფრონტის მთელს ხაზზე, კორნილიეს მთის რაიონის გარდა, დრო გამოშვებითი საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი.** მაისის 29. **ოფიციალი ცნობა.** სერნის რაიონში, სომმას ჩრდილოეთით საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა. ერნის დასავლეთით, „304" სიმაღლეზე მტრის მიერ მოტანილი იერიში მოვიგერიეთ. ვევრში პატრულთა შეტაკებაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

**პარიზი.** მაისის 30. **ახლო აღმოსავლეთი.** (?) რაიონში მტრის ჩვენს თხრილებზე თავდასხმამ უნაყოფოდ ჩაიარა. მაკუჩინში საარტილერიო ბრძოლა იყო.

**ბელგეთის ბანაკის ცნობა**

**ჰავრი.** მაისის 29. ოფიციალი. გეტზასთან ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო. დღისით რამსკაპელეგეტზასის რაიონში საარტილერიო ბრძოლა უფრო გაძლიერდა.

**იტალიის ბანაკის ცნობა**

**რომი.** მაისის 30. ოფიციალი, გუშინ ადიჯესა და ბრენტოს შუა ბრძოლა მეტის მეტად გამწვავდა, მაისის 28 ღამით, ტონალედან მტერმა უკან დაიხია. აზიაგოს ზეგანზე ჩვენმა არტილერიამ მტრის სიმაგრენი გაანადგურა. ჩვენ დავიჭირეთ ანიელის გასავალი და მთელი გორა მონტე ორტიგარო. წამოყვანილია 512 ტყვე. ჩვენი მფრინავები მხნედ მოქმედებდნენ ასტიკო და ასის შუა. კარსოზე მტერი ილტვოდა.

**ვილენის პოლკის უარი.**

**ფეოდოსია,** მაისის 29. ვილენის მე-52-ე პოლკმა, რომელიც აგერ 44 წელიწადია რაც ფეოდოსიაში სდგას, უარი განაცხადა—იერიშებში მონაწილეობას არ მივიღებთო. უარმა ყველანი ააღელვა.

**დეზერტირების წინააღმდეგ.**

**სევასტოპოლი,** მაისის 29. დეზერტირობის მოსასპობად სასტიკი ზომებია მიღებული. სამხრეთის რკინის გზათა უფროსები მარჯვედ იჭერენ დეზერტირებს. მათ სოფლელებიც დიდად უწყობენ ხელს.

**სამხედრო ბეგარა.**

**ვაშინგტონი,** მაისის 28. ოფიციალი. შეერთებული შტატების მთავრობის ბრძანებისამებრ მაისის 24-ს მოხდა 21—30 წლის ჯარში გასა-

წვევთა რეგისტრაცია. თუმცა ოფიციალი ანგარიშები დამთავრებული არ არის, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ სარეგისტრაციოთ 10 მილიონ კაცამდე გამოცხადდა, რეგისტრაციამ მშვიდობიანათ ჩაიარა. მთელს შეერთებულს შტატებში მხოლოდ 8 კაცი შეიპყრეს, რეგისტრაციის წინააღმდეგი.

**გერმანელები რიგის ყურესთან.**

**პეტროგრადი,** მაისის 29. მაისის 27-ს გერმანელთა 9 ჰიდრო-ჰაეროპლანი უშედეგოდ ესროდა ყუმბარებს რიგის ყურეს ზოგიერთ კუნძულებს. 28 მაისს, ღამით, გერმანელთა 4 მანქანა არენსბურგზედ ყუმბარებს ჰყრიდა, სხვათა შორის დააზიანეს 1 სახლი, მოფრინდნენ ვერდერის კუნძულთან, მაგრამ ჩვენმა ბატარეამ განდევნა.

**გემის დაღუპვა**

**ჰელსინგფორსი.** მაისის 29. გერმანელმა წყალქვეშამ ფინეთის გემი „ალგოლი" დაჰღუპა. გემზე მოსამსახურენი გადაარჩინეს.

**რუსთა გემების თარეში.**

**სევასტოპოლი.** მაისის 20. ჩვენი გემები თავს დაესხნენ ზუნგულდაკის სანაპიროებს და დაჰღუპეს მტრის იალქნიანი გემები სურსათით.

**ჰენდერსონი**

**პეტროგრადი,** მაისის 29. ინგლისის შრომის მინისტრმა ჰენდერსონმა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში სთქვა: „მე ბრიტანეთის მუშათა სოციალურ მოძრაობის სახელითა ვლაპარაკობო. მიესალმა რა ბრიტანეთის მუშათა სახელით რუსეთის დემოკრატიას, ჰენდერსონმა სთქვა: „ბრიტანეთის პროლეტარიატი მზათ არის ყოველის ძალით რუსეთის დემოკრატიას მოეხმაროს. ბრიტანელი დემოკრატი მუდამ ომის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ეს წინააღმდეგობა შეიცვალა ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შემდეგ და როგორც კი გამოირკვა, რომ გერმანეთი და ავსტრო-ჰუნგრეთი მთელს ქვეყნიერებაზე ჰეგემონიას ესწრაფვიან. ბრიტანეთის პროლეტარიატი იბრძვის მხოლოდ იმიტომ, რომ დაიცვას თავისი მხარე და სხვასაც ძალა დაატანოს საერთაშორისო ხელშეკრულებას პატივი სცეს. ბრიტანეთის მუშები რუს-ამხანაგებთან ერთად საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ და ერთა თვით გამორკვევის პრინციპზე უნდა იქმნეს დამყარებულიო. ამის და მიხედვით საზავო ხელშეკრულება უნდა ჰგულისხმობდეს აგრეთვე ყოველი მცირე და დიდი ერის თავისუფლებას, ხოლო პოლონეთის საკითხი პოლონელების სურვილისამებრ უნდა გადასწყდეს, ბელგეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილ უნდა იქმნეს. ამას გარდა ზავის ძალით მესოპოტამიისა და აფრიკის მცხოვრებელნი ოსმალთა ბრძანებლობის და გერმანელთა მმართველობისაგან უნდა განთავისუფლდნენ. საჭიროა ოსმალეთში მნიშვნელოვანი რეფორმები მოჰხდეს, რათა მით უზრუნველყოფილ იყვნენ სომხებისა და არაბების ინტერესები, და აი ყველა ამან აიძულა ბრიტანეთის პროლეტარიატი ომისათვის მხარი დაეჭირათ. ეს მას სწამდა ომის დაწყებისას და ამას არ ჰღალატობს ეხლაც.

# ერი და რევოლუცია

(დასასრული)

რუსეთ-იაპონეთის ომმა ცოტათი შეაკვეცა ფრთები საფრანგეთის იმედებს თავის მოკავშირის სამხედრო ძლიერებაზე. საბოლოოდ კი რუსეთის თვითპყრობილების უძლურებაში, მის სრულ უილაჯობაში საფრანგეთი დარწმუნდა ამ უკანასკნელი ომის განმავლობაში. ეს საკმარისი იყო, რომ საფრანგეთს ზურგი ექცია რუსეთის თვითპყრობელობისათვის. სრული უნდობლობა ევროპიელ მოკავშირეებისა რუსეთის თვითპყრობელობისადმი იყო, ჩემი აზრით, უმთავრესი ძალა, რომლის გავლენის ქვეშ სრულიად დაინგრა ძველი წესწყობილება. თვითპყრობელობის გამანადგურებელი ძალის სათავე უნდა ვეძიოთ რუსეთის გარედ და არა შიგნით. შიგნით ყველაფერი მიყუჩებული იყო, ხალხი გაჩუმებული იყო ჩვეულებისამებრ.

აი მიზეზები იმისა, რომ თებერვლის რევოლიუცია მოხდა უეცრად, უტკივრად და უბრძოლველად. განა ბრძოლად უნდა ჩაითვალოს რამოდენიმე ასეული კაცის დახოცვა იმ დიად ცვლილების მოსაპოვებლად, რომელიც ეხება 150 მილლიონ ადამიანს? აღმოჩნდა, რომ რევოლიუცია იყო უტკივარი და უეცარი იმიტომ, რომ დამხობილი მთავრობა სრულიად უძლური ყოფილა. თუ ძველი მთავრობა არსებობდა ამ ჟამამდე, ეს აიხსნება მხოლოდ რუსების ეროვნული პსიხიკის თავისებურობით.

5

რას უნდა მოველოდეთ მომავალში? ელის თუ არა ახალ წესწყობილებას რაიმე საფრთხე? და თუ ელის საიდან?

უწინარეს ყოვლისა უკუგდებულ უნდა იქმნეს შიში იმისა, რომ შიგ სახელმწიფოში შეიძლება გამოჩნდეს ისეთი ძალები, რომლებიც მოახდენენ კონტრ-რევოლიუციას და აღადგენენ ძველ წესწყობილებას. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რუსეთში არ არის არც ერთი ცოცხალი ძალა, რომელსაც შეუძლია თვითპყრობელობის აღდგენა. თავად-აზნაურობა ან სრულიად ამოვარდა, ან გადაგვარდა და გაილესა ხალხის მასსაში. დარჩა სასულიერო წოდება. მაგრამ, რაც უნდა მძლავრი იყოს მისი გავლენა ხალხზე, ის ვერ აიძულებს რუსეთის ხალხს აქტიურ მოქმედობით დაიცვას ტახტიდან ჩაგდებული მეფე. მართალია, ჩვენ ვიცით, რომ რუსის გლეხი შეჰსცქეროდა მეფეს როგორც წმიდანს. მაგრამ ისიც ვიცით, რომ რუსის გლეხი ადვილად სთმობს თავის კერპებს.

ხომ გახსოვთ, როგორ გულცივად შეხვდა რუსის ერი პერუნის გადაგდებას დნეპრის ტალღებში. შეურაცხყოფილმა მეფემ უკვე დაკარგა თავისი ავტორიტეტი ხალხის გონებაში. „ეგ რა მეფეა, თუ მისი დატუსაღება შეიძლება". აი, პსიხოლოგია რუსეთის გლეხისა.

რაც შეეხება რუსეთის ინტელიგენციას, ბურჟუაზიას და პროლეტარიატს, დღეს დღეობით ესენი არიან თუმცა უმცირესნი რიცხვით, მაგრამ უძლავრესნი თავისი აქტივობით. ესენი ხომ პირდაპირ დაინტერესებულნი არიან ახალ წესწყობილების შენარჩუნებაში. დაუმატოთ ამას დაჩაგრულ ერების ენერგია, მიმართული ძველი მთავრობის წინააღმდეგ, და აშკარა იქნება, რომ შიგნითგან ახალი წესი აღარ მოელის არავითარ ხიფათს.

თუ მოსალოდნელია რამე საფრთხე მხოლოდ გარედგან. რუსეთის მასის გულცივობა თავის მამულის პოლიტიკურ ფორმებისადმი დამოუკიდებულს ჰყოფს რუსეთის შინაურ წესწყობილებას ევროპიულ ერების სურვილისაგან. თუ ევროპიელებმა მოისურვეს, ისინი, ეჭვს გარეშეა, აღადგენენ კიდევაც ძველ მთავრობას, რადგანაც საკმარისია სუსტი დაძალება გარეთგან, თუ შიგნითგან ამ დაძალებას არ დახვდება არავითარი წინააღმდეგობა.

მაგრამ რომელი ევროპის სახელმწიფოსი ინტერესები მოითხოვენ თვითპყრობილების აღდგენას. ჩვენს მოკავშირეებს არ შეუძლიათ ეს მოისურვონ, რადგანაც ძველი რეჟიმის დახხობა მოხდა, თუ მათი აქტიური დახმარებით არა, მათი სრული თანხმობით. დარჩნენ ჩვენთან მეომარი სახელმწიფონი. ამათში ოსმალეთი ანგარიშშიც არ არის მისაღები. ის იმდენად უძლურია, რომ თვითონ ძლივსღა დგას ფეხებზე. დანარჩენ ორ სახელმწიფოში, გერმანეთი ჰგვრის მეტს შიშს. მართლაც, რუსეთის მეფეები ვიწრო ნათესაობრივი კავშირით არიან გადაბმულნი გერმანელ მმართველებთან. მაგრამ საუკუნოდ გაქრა ის დრო, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკა განისაზღვრებოდა ნათელი მამობრივი ინტერესებით. მაშ რაღა დარჩა? რა მოსაზრებას შეუძლია აიძულოს გერმანეთი აღადგინოს თვითპყრობელობა რუსეთის იმპერიაში. ასეთი მოსაზრება არ არსებობს. კიდევაც რომ ჰქონდეს გერმანეთს ამ გვარი მოტივები, ვინ დაანებებს მას თავის სურვილისამებრ განაგოს მთელი ევროპის ბედი?

დიახ, რუსეთის თვითპყრობილობა სამუდამოდ შთაინთქა არყოფნის უფსკრულში.

ეხლა pzo domo sua.. მაგრამ წერილი ისედაც გამიგრძელდა. ჩვენს მდგომარეობაზე სხვა დროს.

**ს. დარიანი.**

**უწესობა ჯარში**

**პეტროგრადი,** მაისის 29. სამხედრო მინისტრმა თავის ბრძანების საპასუხოდ, გენერალ შერბაჩევისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „თქვენის ბრძანების მიხედვით, ზოგიერთ სუსტ დივიზიას დაშლა დაუწყე. სამი დივიზია დამემორჩილა, ხოლო სამმა პოლკმა უარი განაცხადა. ჯარის კაცებმა უწესოება დაიწყეს. დაატყვევეს და იარაღი აჰყარეს პოლკის უფროსებს, აფიცრებს და სხვა. ვერავითარმა ლაპარაკმა მათზე ვერ იმოქმედა, მაშინ საქმის მოწესრიგება კავალერიის დივიზიის გენერალს მივანდე. გენერალმა ულტიმატუმი დაუდო პოლკებს და მოსალაპარაკებლად დელეგატები გაჰგზავნა. ის იყო პოლკები უნდა დასთანხმებოდნენ გენერალს, რომ აფიცერმა ფილიპოვმა კვლავ მოახერხა მათი გულის მონადირება და ჯარს უწესოებისაკენ მოუწოდა. მაშინ გენერალმა ძალა იხმარა, დაატყვევა ფილიპოვი და სამი სხვა აფიცერი და აიძულა პოლკები მინისტრის ბრძანებას დაჰმორჩილებოდნენ".

# ომის ამბები

რევოლიუციის პირველ ხანებში ატეხილი ყვირილი—გერმანელები დღეს თუ ხვალ პეტროგრადისკენ წამოვლენო—როგორც მოსალოდნელი იყო, ტყუილი გამოდგა. მიზეზი ქვილ-ხავილისა ფსიხოლოგიური იყო: მაშინდელი მთავრობა სცდილობდა ჯარში ატეხილ ქარიშხლის ჩაწყნარებას ხიფათის მოგონებით. გერმანელებმა ჭკუა იხმარეს და დაშლის პროცესი თავისუფალ რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობით არ შეაჩერეს. საკითხი მათ მარტივად და სწორედ გადასჭრეს, სთქვეს: რუსეთის ჯარი იშლება, სუსტდება და იქსაქსება. მისი გამთელება უბრალო აგიტაციით შეუძლებელია. სახიფათოა ასეთ დროს მასთან მტრობა, რადგან ეს შეტაკება ისევ შეაკავშირებს და ძალას მისცემსო, ამიტომ ნაცვლად ომისა რუსებთან გაჩაღდა დაძმობილება და ამრიგად თავისთავად აღმოსავლეთის ფრონტზე დამყარდა ძმობა, ერთობა და ერთგვარი მორიგება.

ამ დროს გერმანიას ძალიან ესაჭიროებოდა საფრანგეთში ახალი ჯარი, ხოლო ავსტრიას—იტალიაში. ორივეს მოკავშირენი გაშმაგებით აწვებოდნენ და სერიოზულ ხიფათს უქადდნენ. ავსტრია-გერმანიამ სავსებით ისარგებლეს რუსებთან შერიგებით და დიდძალი ჯარი გადაიყვანეს იტალეთსა და საფრანგეთში.

საკითხავია: სად არის ამ ჟამად ომის კვანძი?

რომ იგი რუსეთში არ არის—ეს ყველასათვის ცხადია. იგი არც კავკასიაშია, ვინაიდგან ოსმალებმაც გერმანელთა ხერხს მიმართეს და კავკასიიდგან ზედმეტი ჯარი მესოპოტამიაში გაგზავნეს ინგლისელთა წინააღმდეგ.

ბალკანეთის მიმართულებას ამ ჟამად თითქმის აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იგი მოკავშირეთათვის ყოველთვის სტრატეგიული სოჯრო იყო და იმ მხრივ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ მხოლოდ აქედან შეიძლებოდა სერბეთის განთავისუფლება და აღდგენა.

იტალეთის მიმართულებას ყოველთვის მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. იგი დამხმარე ფაქტორი იყო და ამ ერთი თვის წინათ მან ერთხელ კიდევ უშველა მოკავშირეებს. მან მიიზიდა ნაწილი ავსტრო-გერმანიის ჯარისა და ამით გაუადვილა საქმე ინგლისს-საფრანგეთს.

მაგრამ მხოლოდ გაუადვილა.

კვანძი მსოფლიო ბრძოლისა ისევ საფრანგეთშია.

ყველას ეხსომება მოკავშირეთა უდიდესი და უძლიერესი იერიშები ჰინდენბურგის თხრილის წინააღმდეგ. მის გარღვევას მოკავშირეებმა უთვალავი მსხვერპლი შესწირეს, მაგრამ... განთავისუფლებულმა რუსეთმა თავისდა უნებურად უშველა გერმანეთს, რომელმაც მოხერხებულად ისარგებლა ძმობა-მორიგებით და დიდი ძალა დაუხვედრა გაშმაგებულ ინგლისს-საფრანგეთის ჯარებს.

გერმანელთა ოფიციალ დეპეშებიდან სჩანს (იბეჭდება „რუს. ინვალიდში"), რომ მოკავშირეები ძალიან დაზიანებულან, დასუსტებულან და გამოფიტულან. გერმანელებმა ზოგან წინ წაიწიეს და მრავალი დათმობილი ადგილი დაიბრუნეს. მაგრამ ეს კანტი-კუნტი ბრძოლა მხოლოდ შესავალია იმ უდიდეს ბრძოლისა, რომელიც შეიძლება უკანასკნელიც იყოს. როგორც იუწყებიან, ორივე მხარე ამ საბედისწერო ბრძოლისთვის გაფაციცებით ემზადება. შეიძლება ითქვას, რომ ინიციატივა ისევ გერმანელებმა დაიბრუნეს. თავიანთ მთავარ ძალებს ისინი ჩრდილო-საფრანგეთში აგროვებენ. ინგლისიც სწორედ აქ იკრებს ძალღონეს. გერმანეთის მთავარ შტაბს სურს ზღვისკენ გასვლა—ნიუპორ-ბულონ-კალეს აღება და ინგლის-საფრანგეთის შუაზე გაჭრა. თუ გერმანეთს ეს იმედი გაუმართლდა, შედეგი ამ ოპერაციისა გადასწყვეტს ომის ბედს.

**მ. ად—ლი.**

# რუსეთი და უცხოეთი

**საფრანგეთის მთავრობის ახალი დეკრეტი გაზის ხმარების შესახებ**

**პარიზი,** მაისის 28. მთავრობის დეკრეტით სანათ-საწვ. გაზის ხმარება აღკრძალულია საღამოს 8 ს. 30 წ. დილის 10 ს. 30 წ-მდე, დღის 2 საათ. 5 ს. 30 წუთამდე და საღამოს 9 საათიდან დილის 4 ს. 30 წუთამდის. სამხედრო სურსათის მინისტრს ამ განკარგულების გადასინჯვა მიენდო.

**რუმინელები.**

**პეტროგრადი,** მაისის 29. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დროებით მთავრობას თხოვნით მიჰმართა, რათა ნება დართოს რუმინელი საჭურისები დაასახლოს რუსეთის იმ ადგილებში, სადაც გამოქცეული რუმინელები მოსახლობენ.

**უსურსათობით უკმაყოფილება.**

**რიბინსკი,** მაისის 29. ქალაქის სასურსათო საქმით უკმაყოფილო მუშაქალების ბრბომ დაატუსაღა ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი დევიატკინი, ყოფილი ქალაქის თავი რასტორგუევი და მილიციის უფროსის თანაშემწე იდინი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ბრძანებით დატუსაღებულები გაანთავისუფლეს.

**ცეცხლი გემ „ტამბოვ"-ზე.**

**ბლაგოვეშჩენსკი,** მაისის 25. გემ „ტამბოვ"-ზე ცეცხლის დროს დაიღუპა რვა კაცი, მათ რიცხვში ერთი ჩინელი ქალი, რომელსაც 100,000 მანეთი მიჰქონდა. ჰფიქრობენ, რომ დაიღუპა აგრეთვე გემზე მყოფი ოქროს მრეწველი, რომელსაც ერთი ფუთი ოქრო მიჰქონდაო. გემი დაიღუპა. როგორცა ჰფიქრობენ გემს ცეცხლი განგებ გაუჩინეს ბოროტის განზრახვით. გამოძიება სწარმოებს.

# უკანასკნელი დეპეშები

**ხტარო-ობრიადცების ყრილობაზე მსჯელობა იყო სახელმწიფოებრივ ფორმაზე. ხმის უმრავლესობით ხასურველად სცნეს დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსება. რამოდენიმე იცავდა კონსტიტუციონურ მონარქიის პრინციპს, ამბობდენ, რომ რესპუბლიკა ხალხს სარწმუნოებას დაავიწყებინებსო და ეს კი ხელს შეუწყობს ანარქიის გავრცელებასო.**

—

**საარჩევნო აგიტაციის დროს პეტროგრადში ჯარის კაცებმა დაარბიეს კადეტების საარჩევნო პუნქტი. ამის გარდა ბრბო ლამობდა ლენინის სამართალით გასწორებოდა კადეტებს.**

—

**რკინის გზებზე საერთო გაფიცვას აღარ უნდა ველოდეთ. დიდი ორგანიზაციები გაფიცვის წინააღმდეგ წავიდნენ.**

—

**მოკლე ხანში მოხდება ებრაელთა ყრილობა. ყრილობაზე დაესწრებიან ებრაელი ჯარის კაცები, ოფიცრები, ექიმები. მიზანი ყრილობის იქნება მუდმივი ცენტრალი ორგანიზაციის დაარსება, რომელიც ებრაელთა ინტერესებს დაიცავს.**

# არ დაჰკარგოთ საარჩევნო უფლება!

მაისის 28, ქალაქში დაიწყო მცხოვრებთა აღწერა ქალაქის საარჩევნო სიის შესადგენად. ეს აღწერა გაგრძელდება ხამ დღეს. უკეთუ აღმწერლები თქვენთან და თქვენ მეზობლებთან ჯერ არ მოსულან ან და რაიმე მიზეზით საარჩევნო სიაში არ შეუტანიათ რომელიმე საარჩევნო უფლების მქონე პირი, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ეს მცხოვრებთა აღწერის საქმის საუბნო ხელმძღვანელთ. ამასთანავე თქვენ უნდა აღნიშნოთ სახელი, გვარი და მამის სახელი იმ ამომრჩევლის, რომელიც სიაში არ შეუტანიათ, აგრეთვე უნდა აღინიშნოს მათი წლოვანება, სახლის ნომერიც, სადაც ასეთი პირები ცხოვრობენ. შეატყობინეთ აგრეთვე იმავ დაწესებულებებს სახელი, მამის სახელი და გვარი იმ უცხო ქვეშევრდომთა და სხვა პირთა შესახებ, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამოართმეული ჰქონდა და საარჩევნო სიაში კი შეტანილი არიან. გახსოვდეთ, რომ უკეთუ საარჩევნო სიაში არ ჩაგწერენ, თქვენ ჰკარგავთ საარჩევნო უფლებას.

# ქრონიკა

## კავკასია

◆ **სამხედრო შეღავათი.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა: ჯარში გაწვევის ვადა გაუგრძელდესთ იმ პირთ, რომელთაც წელს გაათავეს რომელიმე საშუალო სასწავლებელი და 1 ივნისამდე განაცხადებენ, რომ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას აპირებენ. ამ კატეგორიაში ისინიც შედიან, რომელთაც სასულიერო სემინარიის ოთხი კლასი დაამთავრეს.

◆ **სანატორიები** სალდათთა და მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა: ბორჯომისა და აბასთუმნის სასახლეების სანატორიებში თითოში 50 საწოლი დასდგას ძველ რეჟიმთან მებრძოლთათვის.

◆ **ქალაქთა თვითმართველობა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა მაისის 30-ს, რომ ყველა დაბა-ქალაქებში, სადაც თვითმართველობა ჯერ არ არსებობს, შემოღებულ იქმნას მარტივი თვითმართველობა, ხოლო სადაც ამ ჟამად მარტივი თვითმართველობაა, იქ შემოღებულ იქმნას ნორმალური თვითმართველობა.

◆ **ბათუმ-ტრაპიზონის რკინის გზის** კეთება შეჩერებულია. გზას აღარ გაიყვანენ, ხოლო ნამუშევარს ლიკვიდაციას უკეთებენ. სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ინჟინერი ლაზჩი.

## საქართველო

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების** საბჭომ უკანასკნელ თავის კრებაზე გადასწყვიტა დაარსოს 5 სექცია, რომელნიც სპეციალურად შეუდგებიან პროგრამის შემუშავებას. მათი ორგანიზაცია მიენდო საბჭოს წევრებს. სთხოვენ იმ პირთ, ვისაც სურთ მუშაობა სხვა და სხვა სექციაში, განუცხადონ სურვილი სექციების ორგანიზატორთ. ამ ხანად შესდგება სექციები: 1) ჰიდროტეხნიკური-მელიორატიული—ინჟ. ლ. დიასამიძესთან, კიროჩნაია 53. 2) მექანიკური—ინჟ. გ. გედევანიშვილთან, ანდრეევის 78, 3) გზათა-სააღმშენებლო—ნ. ლეჟავასთან, თამარის ქ. № 1 და 4) სამთამადნო-ქიმიკური და ცალკე ქართულ ტეხნიკურ ტერმინოლოგიისა და ლიტერატურისა—ინჟ. ი. ყიფშიძესთან, ელისაბედის ქუჩა № 98. აქვე შეუძლიათ ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად.

◆ **შ. მღვიმელის ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო შ. მღვიმელის ახალი საბავშო წიგნები „ძუნწი და ნატვრა", „სამი ცელქი" და „რჩეული ლექსები". პირველი ორი წიგნი 18 კაპეიკი, მესამე კი ხუთი შაური. წიგნები სუფთად არის გამოცემული.

## თბილისი.

◆ **საეთნოგრაფიო საღამო-კონცერტი** კოტე ფოცხვერაშვილისა, რომელიც გუშინ სახელმწიფო თეატრში გაიმართა, დღეს პირველ ივნისს სავსებით განმეორდება იაფ ფასებში სახალხო სახლში.

◆ **სურსათი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტს მოუვიდა მაისის 30-ს ფქვილი 3 ვაგ., ხორბალი 3 ვაგ., და სიმინდი 2 ვაგ.; მაისის 31-ს მოუვიდა ფქვილი 7 ვაგ. და ხორბალი 8 ვაგონი. საერთოდ სურსათი ბევრად ნაკლები მოდის იმაზე, რამდენიც ყოველ დღიურად საჭიროა.

◆ **მოუსვენარი სახლის პატრონი.** თბილისში კარგად ცნობილ ბაგრატ მირიმანოვის სახლის დგმურებმა აღმასრულებელ კომიტეტთან იჩივლეს, რომ სახლის პატრონი არ გვა ცვენებს და ღონისძიება რამე იხმარეთ მის წინააღმდეგო. რით არ ასვენებს, ამას კი არ ამბობენ. კომიტეტმა მილიციის უფროსს მისწერა—გამოუცხადოს მირიმანოვს, რომ მოასვენოს დგმურები, თორემ ის პასუხისგებაში იქნება მიცემულიო.

◆ **მუშათა და ჯ.-კაცთა დეპუტატების** მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტის ახალ წევრების სია: ჟორდანია ნოე, ერაძე გიორგი, ცინცაძე გიორგი, მახარაძე გერასიმე, ცერცვაძე ნესტორი, ზურაბოვი არშაკ, ჯიბლაძე ვლ., კარაჯიანი გიორგი, ლომთათიძე ალექსანდრე, მგელაძე ლასა, ერზიკიანი არმაისი, ჟორდანია ინა, ჯუღელი, დგებუაძე, ჯიბლაძე, ეღენტი, ფარნიევი, ესსენი, წულაია, ვარდოიანცი, კუზნეცოვი, ბერიანიძე, ბადრიძე, ჩიხლაძე, როხლინი, ხომერიკი, ფოაძე, ტრეიმანი, მიკირტუმოვი, მაისურაძე, რადიშევი, ჩერნიშევი, შენგელია, ჰიაბეროვი, ლემანი, პეტროსიანი, კახიანი, საფაროვი, მუხტაროვი, გოგიბერიძე, დენისოვი, შანიძე, ჯორბენაძე, გლაზოიანი, კოსტინი, ნალჩაჯიანი.

## ქუთაისი.

◆ **მოქალაქეთა შიშიანობა.** აღმ. კომიტეტის წევრები აცხადებენ, რომ ქალაქი მეტად საშიშ მდგომარეობაში იმყოფება. საზოგადო უზრუნველყოფის საქმე ძლიერ ცუდათ არის დაყენებული.

## პროვინცია.

◆ **ქალთა კავშირი.** გურიის სოფელ ჩოხატში დაარსდა ქალთა კავშირი, რომლის მიზანია ქალთა უფლების დაცვა. ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 120 წევრი, აირჩიეს ბიურო ცხრა პირისაგან შემდგარი, რომელშიაც შედიან, როგორც დედაკაცები, ისე მამაკაცებიც.

# მიწის საკითხი და ტერ-ავეტისიანცი

როგორც პეტროგრადიდან იუწყებიან, მაისის 22-ს მთელი რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს რეზოლიუცია გამოუტანია, რომლის მიხედვით რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში მთელი მიწა, წყლები და მადნები აღიარებულ უნდა იქმნას მომუშავეთა საკუთრებად და საბჭოს წინადადებას აძლევს დროებითი მთავრობას გამოაქვეყნოს დეკლარაცია, რომ არავის არ შეუძლიან წინააღუდგეს ხალხის სურვილს. მიღებულ რეზოლიუციის ძალით ყველა მიწები უნდა გადაეცეს საადგილ-მამულო კომიტეტებს, რომელთაც დაევალებათ გამოარკვიონ წესი მიწის დამუშავებისა, დათესვისა, ჰირნახულის მოკრებისა და სხ. კრებას დასწრებია მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი ტერ-ავეტისიანი, რომელსაც ამიერ კავკასიის გლეხთა სახელით, განსაკუთრებით ეროვნებისა, რეზოლიუცია სრულიად კანონიერად უცვნია და მის მიღებაზე თანხმობა განუცხადებია.

# ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში

**ეროვნულ დემოკრატ. პარტიის თბ. მესამე და მეოთხე უბნების წევრთა კრება** გაიმართება დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 8 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქ.). საგნები: ა) გ. ბ. გვაზავა წაიკითხავს მოხსენებას ეროვნულ საკითხის შესახებ. ბ) საუბარი მოხსენების შესახებ. გ) დელეგატების არჩევა პარტიის კონფერენციაზე გასაგზავნად.

კრებაზედ ნება აქვთ დაესწრონ თბილისის მესამე და მეოთხე საკომისარო უბნების ეროვნულ-დემოკრ. პარტიის წევრთა და თანამგრძნობთაც.

ვთხოვთ ამხანაგებს დროზედ შეგროვდნენ, რადგან მოხსენება დაიწყება საღამოს 8 საათზე.

**საუბნო კრება.**

პარასკევს, თიბათვის 2-ს, საღამოს 8 საათზე, მთაწმინდის ქუჩაზე, (სახლი № 18), სამრეწველო სკოლის დარბაზში, დანიშნულია მე-2 უბნის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა კრება პარტიულ საქმეებზე მოსალაპარაკებლად. საჭიროა კრებას ქალებიც ბლომად დაესწრან.

—

**ნაძალადევის კომიტეტი** საქ. ერ.-დემ. პარტიისა მოაგონებს თავის უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთ, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, საეკლესიო სკოლაში მორიგი პარტიული კრებაა დანიშნული.

# საფრანგეთის დიდი რევოლიუცია

III

**ადამიანის უფლებათა დეკლარაცია.**

ბასტილიის დაცემის უდიდესი ნაყოფი ის იყო, რომ ყველასთვის ნათელი შეიქმნა მეფის მომაკვდავობა. ამიერიდან მისი უზენაესობა და მითიური ღვთაებრივი ყოვლად შემძლებლობა ამ ციხის დახავსებულ კედლების ნანგრევებთან ერთად დარღვეულ იქმნა. მეორე და არა-ნაკლები თვალსაჩინო ნაყოფი კიდევ ის გახლდათ, რომ რევოლიუციის ასპარეზზე ახალი ძალა ჩამოერია: ეს იყო პარიზი, რომელიც მეფეს და ეროვნულს საკრებულოს არა თუ გვერდში ამოუდგა, არამედ უპირატესობა მოიხვეჭა მათზე და მალე ერთგვარი დირექტივებიც კი უკარნახა.

პირველად პარიზმაც იუცხოვა თავის სტიქიურ ძალის შეგნება.

ცოტა ხანს გაჩერდა. უფრო იმისი შიში ჰქონდათ, რომ უცხო ჯარები პარიზის მახლობლად ეყენათ და შესაძლებელი იყო მათთვის აეოხრებინათ რევოლუციის ბუდედ გარდაქმნილი პარიზი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თვით მეფე ლუი XVI შიშმა მოიცვა. პარიზის ხმაურობამ ზარი დასცა და გადასწყვიტა ეროვნულს საკრებულოს შეჰრიგებოდა. იგი პირადად ეხლა კრებას თან მხოლოდ ორი ძმა ახლდა. არასოდეს ეროვნულ კრებისთვის ეს სახელი არ უწოდებია. მხოლოდ დღეს იკადრა კრებას კრებისავე სახელით მიჰსალმებოდა და თანაც ყველანი დაამშვიდა, ბრძანება გაცემულია ჯარების გასაბრუნებლადაო. მეფის ასეთს სიტყვას ყველანი აღფრთოვანებით შეეგებნენ. იგი სასახლემდინ ერთის ამბით მიაცილეს. ამ საკარიკატურო დიდებულ სვლას მხოლოდ დე-

დოფალი ანტუანეტა შეჰხვდა ცივად. არაფრად მოეწონა უზენაეს მართველის ასე დაქვეითება, მის მიერ სამფეროვანი ეროვნულ კოკარდის ქუდზე მიკვრა.

პარიზელებმა მალე დაინახეს შიშის უსაფუძვლობა. როდესაც წარჩინებული წოდება, მდიდრები და მეფის მარჯვენა ხელნი მათს რისხვას მოერიდნენ და დროზე გაჰქუსლეს უცხოეთისკენ, მათ გული მოიცეს და ახლა უფრო თამამი სახით იქცეოდნენ. მათს დასაწყნარებლად ვერსალიდან ეროვნულმა საკრებულომ დეპუტაცია გააგზავნია. დეპუტატებად აირჩიეს ბაილი, ლიანკური, ლაფაიეტი და სხვები. პარიზელები დეპუტაციას აღტაცებით შეეგებნენ. ბაილი ქალაქის თავად აირჩიეს. ლაფაიეტს სთხოვეს ეროვნულ ლაშქრის მოწყობა. მალე თვით მეფეც ეწვია. ბაილიმ ქალაქის შესავალ კარებში ეროვნული კოკარდა მისთავაზა. როდესაც მეფემ ქუდზე მიიკრა იგი, ხალხი აღტაცებაში მოვიდა. მეფემ რამდენიმე დღეს დაჰყო აქ, ყველაფერი დამშვიდებული ეგონა და დამწუხრებულის გულით დაუბრუნდა ვერსალს.

მაგრამ საქმე ამითი არ გათავებულა. მგრძნობიერ პარიზს ასე ადვილად ვერავინ ჩააჩერებდა. მღელვარე ხალხს მარტო ერთი იაფფასიანი აღლუმები ვერ დააწყნარებდა. დიდი ენერგია დაჰხარჯა ლაფაიეტმა, ამ სიტყვისა და მოქმედების ძლიერმა რაინდმა, მაგრამ მაინც ვერას გახდა. მას აკლდა პოლიტიკური ნიჭი. მის ხმალზე და სიტყვებზე მძლავრად სჭრიდა კამილ დემულენის გაზეთი „რევოლუცია", განსაკუთრებით კი მორატის უკიდურესი გაზეთი „ხალხის ხმა", რასაც ხალხი პირდაპირ დატაცებით ჰკითხულობდა. პრესა მკაცრ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ყოველგვარს ავტორიტეტობას და შეამბოხეთ აქეზებდა ასაჯანყებლად. აი, ამითი აიხსნება, რომ პარიზი გაამპარტავნდა კიდეც და თავის მძლეთა-მძლეობით ტრაბახს მოჰყვა. აქედან გასული ორატორები ცეცხლს ანთებდნენ პროვინციებში. შეიარაღებული ბრბო ბრბოს მისდევდა და შიშის ზარს სცემდა პროვინციას. მარტო ერთს სუასონში ოთხ ათასზე მეტი შეიარაღებული მძარცველი დაძრწოდა. ორატორების ჩაგონებით მათი ამხედრება პირველად სოციალ უთანხმოების ნიადაგზე მოჰხდა. შეიარაღებულნი მიესივნენ ძველს ფეოდალებს, მემამულეებს და მათ სახლკარისა და ქონების გადაბუგვას მიჰყვეს ხელი. მაგრამ მძარცველობამ და დარბევამ ისე გაათამამა და გაუხსნა მადა, რომ მალე პირველი იდეალი დაივიწყეს და ჯვარედინს გზაზე ყველას ჰკლავდნენ და სძარცვავდნენ იმის განუკითხავად, თუ ვინ იყო გზად შეხვედრილი, გლეხი თუ თავადი, შეძლებული თუ გაძვალტყავებული მუშა.

ასეთმა გარემოებამ საფრანგეთი დაღუპვის გზაზე დააყენა. ამას ყველაზე ნათლად ეროვნული საკრებულო ჰხედავდა. მაგრამ იგი სიტყვების მეტს არას ჰხარჯავდა იქ, სადაც მოქმედება იყო საჭირო. პარიზი კი ამასობაში უკმაყოფილოთა და მძარცველთა ყიჟინით ზანზარებდა. დეზერტირები, თუ სოფლიდან გამოქცეულნი, უსაქმურნი თუ აწიოკებული გლეხები აქ ჰპოულობდენ საზრდოს, ამტვრევდნენ ღვინის სარდაფებს და ჩახლეჩილი ხმით გაიძახოდენ ერთ დროს, მართლაც, პატივცემულს, მაგრამ შემდეგ ისტორიაში უკვე შეურაცმყოფელ სარევოლუციო სიმღერას „Ah, ca ira, ca ira"... „წავა, წავა... კარგად წავა"... საკმარისი იყო გაუფრთხილებელი სიტყვა, რომ რევოლიუციის მოწინააღმდეგ დაესახეთ და იქვე მოეკლით. ეს კი გახელებული ბრბოსთვის სარევოლიუციო გამარჯვება იყო, ერთგვარი „პატრიოტობა": იმ დროს მამულიშვილობა გასისხლიანებულ ხელებით და ლოთობით მტკიცდებოდა.

ეროვნული საკრებულო ძლიერი ცეცხლის ჩასაქრობად, როგორც ვსთქვით, მხოლოდ სიტყვების საშუალებით სცდილობდა. მრავალი უნაყოფო სიტყვების რახა-რუხის შემდეგ მოითხოვეს ახალი კონსტიტუციის შემუშავება. მაგრამ ოდნავ შეეხნენ ამ საკითხს თუ არა, მოჰყვნენ მთელს კვირაობით საგანგებო თათბირს, თუ რა გზით და როგორ შეემუშავებინათ გეგმა სანატრელი კონსტიტუციისა და ყველა ეს იმ დროს ჰხდებოდა, როდესაც ცეცხლის ალში გაეხვია სოფელ-ქალაქი. ლაფაიეტი მოითხოვდა რუსოს თეორიით ესარგებლნათ თავისუფლებისა და ერთობის დასამყარებლად. მირაბო ადამიანის უფლებას წინ უყენებდა მოქალაქის მოვალეობას. კამათი რუსოს სასარგებლოდ დამთავრდა. რუსოს თეორიის მიხედვით განაცხადეს, რომ ყველა ხალხი თავისუფალი და თანასწორია, რომ მათ ეკუთვნით უფლება ებრძოლონ ძალმომრეობას, რომ ხალხის ბედნიერებისთვის საჭიროა თვით ხალხივე იყოს ბატონ-პატრონი და მმართველი თავის ბედისა და სხვა. იყვნენ ბევრნი ისეთნი, რომელნიც სცდილობდნენ ვოლტერის, ან მონტესკიესი და ენციკლოპედისტების აზრები გაეტარებინათ ცხოვრებაში, მაგრამ საბოლოოდ ისევ რუსოს ფილოსოფია დაუდეს სარჩულად იმ საოცარს „ადამიანთა უფლების დეკლარაციას", რომელიც ისტორიისთვის უძვირფასეს მარგალიტად იქნება მარად. ადამიანი თავისუფალი იბადება და კვდება ბორკილებშიო. დეკლარაციაც ამისთანა განცხადებით დაიწყეს.

დ. კახრაძე

(შემდეგი იქნება)

## ქართლის სოფლის საჭიროებანი

სოფელი რომ უმწეო მდგომარეობაშია, ეს ყველამ კარგად იცის; აღარ არის მუშა ხელი და მთელი ჯაფა ქალების კისერზეა თითქმის და სწორედ ამისთანა დროსა სჭირდება სოფელს დახმარება, დახმარება ინტელიგენტების მხრივ, ხელის გაწოდება და ნუგეშისცემა. ჩვენ მართალია თოხს ვერ ავიღებთ ხელში ან გუთანს, მაგრამ საქართველოში არის ისეთი დაწესებულებანი (სამეურნეო საზოგადოება), რომლის ვალია ამ დროს უაღრესად დაეხმაროს და ეს მისი დახმარება, ჩემის აზრით, არც თუ შეუძლებელია და ძალიან ადვილიც არის. მისი დახმარება აუცილებელია იქ, სადაც ცოტად თუ ბევრად უფრო კულტურულ მეურნეობას მისდევენ—მევენახეობას და მეხილეობას. ამ შემთხვევაში მე ქართლის შესახებ მსურს მოგახსენოთ და სახელდობრ იმ ნაწილზე, სადაც მევენახეობაა უაღრესად განვითარებული—გორის მაზრაზე. ამ ნაწილში პირველი ადგილი მებაღეობას უჭირავს და შემოსავლის მთავარ წყაროდ ბევრს ადგილებში—მაგ. ტყვიავის რაიონში ხილი გამხდარა. კარგი შემოსავალი იცის ხილმა, თუ მას ადამიანი მოუვლის, მაგრამ თუ მოუვლელი დარჩა, თქვენი მტერი, მან არა მოგცეთ-რა. გაზაფხულობით მრავალი ავადმყოფობა უჩნდება და ზოგჯერ ყვავილში სპობს ნაყოფს და ზოგჯერ დამწიფებამდე. ეს მოხდება ხოლმე უფრო იმ დროს, როდესაც ბაღი დაუბარავი დიდხანს რჩება. და სწორედ ამ უმუშახელობის დროს დარჩა დაუბარავი და მოუვლელი ბაღები. ამ ხილის რაიონში და სხვა და სხვა ავადმყოფობისაგან დიდი საფრთხე მოელის იმ ლუკმას, რომელსაც ასე სასოებით შესცქერის ყოველთვის ობლად დარჩენილი ხალხი.

წელს, როგორც არას დროს, შესამჩნევად დაეტყო ავადმყოფობა ხეხილს ამ რაიონში (ტყვიავის რაიონი მაქვს სახეში და ალბად სხვაგანაც ასე იქნება) და დიდი საფრთხე მოელის არამც თუ მარტო წრევანდელ მოსავალს, არამედ მთელ მებაღეობასაც. მეტადრე ძალიანაა გავრცელებული წვრილი ბლუნძელა და ობი. ეს უპირველესი და უსაშინელესი მტერი მეხილეობისა... რამდენიმე ბაღია კიდეც ამ რაიონში თითქმის სამუდამოდ მოსპობილი ამ უკანასკნელისაგან. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ყურადღება ჩვენი სამეურნეო საზოგადოებისა. ამაში უნდა გაუწიონ უახლოესი დახმარება ჩვენს უმწეოდ დარჩენილ სოფლებს. მათი უახლოესი დახმარება კი იმით უნდა გამოიხატოს, რომ რაც შეიძლება მალე მოაწყოს პატარ-პატარა ისეთი ცენტრები რომელნიც შეუდგებიან ხეხილის სისტემატიურ წამლობას, მით უმეტეს ვგონებ, ისეთი უმთავრესი წამლები, რომელნიც შესხურებითი წამლობისათვის აუცილებელია, იშოვება და ზოგ სამეურნეო საზოგადოებას მოეპოვება კიდეც.

თითო ასეთ მეხილეობის რაიონისათვის ერთი ცოტა მაინც გამოცდილი ხელმძღვანელი საკმარისი იქნება და 5—6 მისი ხელქვეითი საქმეს ვგონებ საუცხოვოდ გაუძღვებიან და დიდ სარგებლობასაც მოუტანენ სოფელს.

თუ ამ გვარმა პუნქტებმა ერთი თვის განმავლობაში ენერგიულად იმუშავეს, მაშინ სოფლის უმრავლესობას ხელში შერჩება წყარო თავის შემოსავლისა და ერთგვარად უზრუნველყოფილი იქმნება. და თუ სამ. საზ.—ება შესძლეს და ამგვარად იმუშავეს, მაშინ ეს იქმნება დიდი და უახლოესი დახმარება, რომელსაც სოფელი მოელის.

ნ. კ.

## კორესპონდენცია

### ქართველი გრიგორიანები

**გრაკალი.** სოფელი გრაკალი ეკუთვნის იმ ქართველთა სოფლებს, სადაც სხვა ტომის ხალხი ბლომად მოკალათებულან, და არამც თუ მოკალათებულან, არამედ უმთავრესი ნაწილი ხელში ჩაუგდიათ. ესენი გახლავთ სომხები. ისინი დიდი ხნის მკვიდრნი არ არიან, ეს იქიდან სჩანს, რომ ბევრს მათგანს საკუთარი მიწები ეხლაც არ აქვთ. თუმცა არიან ბევრი ძლიერ ადგილის მქონე სომხები. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ-სომეხთა დამოკიდებულება მეტის მეტად მეგობრულია, არავითარ ეროვნულ შუღლს მათ შორის ადგილი არ აქვს.—ეს ძმური დამოკიდებულება მით უმეტეს მტკიცდება, რომ სომხები თავიანთ თავს სრულებით არ ეძახიან სომხებს—ჩვენ ქართველები ვართ, რჯული კი გრიგორიანული გვაქვსო. მაგრამ მათს ქართველობას არ სცნობენ სომხის მამულიშვილები და ისინი ყოველ ღონეს ღონობენ მათში სომხური სულის აღზრდას, ამიტომ ამ მოსაზრებით გაუხსნიათ მათ სომეხ ბავშვებისთვის სომხური შკოლა, მაგრამ როგორც სჩანს, კოვზი ნაცარში ჩავარდნიათ და სკოლას „სომხის" გლეხების შვილები არ მიჰკარებიან.

მაგრამ მამულიშვილთ არ შეშინებიათ. უფიქრიათ ეროვნული სული რელიგიური გზით უნდა განვავითაროთო და წამს შესდგომიან ქართველ გრიგორიანულ ეკლესიის გასომხებას. ამ მოსაზრებით ქართული ენა გაუდევნიათ ეკლესიიდან და სომხური ენა შემოუღიათ ხმარებაში... მაგრამ როგორც სჩანს დადებით შედეგებს ვერ მიუღწევიათ. გაუგებარ ენის ეკლესიაში ხმარებას კი ის მოჰყოლია, რომ ქართველი გრიგორიანი გლეხები ეკლესიაში აღარ დაიარებიან... რა გვინდა, მაინც სომხის მღვდელისას— ვერაფერს ვერ გავიგებთო... სომხური ენა კი მათში თითქმის არავინ არ იცის... კულტურა, ზნე-ჩვეულება, ტანისამოსი, კილო, შეხედულება მათ ქართული აქვთ. ერთი ის თვისება, რომელიც ჰყოფსთ მათ სომხებიდან. თვით გრაკალში სადაც ნახევარზე მეტი მცხოვრებლები სომხები, ვაჭრობა-ალებმიცემობა ებრაელების ხელშია. აქაური სომხები კი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ქართველნი გრიგორიანები ხვნა-თესვას მისდევენ.

კულტურული მხრივ ეს სოფელი, როგორც საზოგადოთ ქართლის სოფელი, ძლიერ ჩამორჩენილი არის. ამ ჟამად ამ სოფელში არ არსებობს არც სამინისტრო და არც სამრევლო სკოლა. მხოლოდ ოთხ სოფელს ერთი სკოლა აქვთ და იქაც ამ ჟამად თურმე მხოლოდ 25—30 მოწაფე ვაჟი და ქალი დაიარება.

რევოლიუციას დაუმჩნევია თავის გავლენა. ცხოვრება სულ ერთიანათ აფორიაქებულა... ყველაზე ბევრ კამათს ამ სოფელში ეროვნული საკითხი იწვევს, ვინაიდან, როგორც ვსთქვით, ამ სოფელში ნახევარზე მეტი ქართველი გრიგორიანები არიან, რომლებიც ეხლა სომეხთა დაუღალავი მუშაობის წყალობით თავიანთ თავს სომხებს ეძახის... ამ შემთხვევაში ქართველ სომეხთა ძმური დამოკიდებულა დღითი დღე ხიფათში ვარდება. სომხები დაურიგებიათ, ქართველებს სომხების განდევნა სურთო.

თუმცა ამ ნიადაგზე ამ სოფელში ჯერ არავითარ ეროვნულ შუღლს ადგილი არ ქონიათ, მაგრამ ვინ არის იმის თავდები, რომ ხვალ დამოკიდებულება არ გამწვავდება და დღევანდელი მეგობრობა ხვალ მტრობად არ შეიცვლება, ამიტომ ეხლავე საჭიროა აილაგმოს ასეთი საზიზღარი პროვოკაცია. დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ამ სოფლის გლეხობა აგრარულ საკითხს. როგორც ყველა ქართველ სოფლებში, აქაც ძლიერ უარყოფილად უცქერიან ფედერალისტების მიერ წამოყენებულ მიწის სოციალიზაციას. კერძო საკუთრების პრინციპს ყველა ალიარებს. ამ შემთხვევაში ეს სოფელი ჩვენ მრწამსთან არის შეხლართული.

მ. ხ—ელი.

### მიტინგები ჯავახეთში.

მაისის 4. ჩვენ გავემგზავრეთ ახალქალაქიდან სოფ. გოგაშენში. გოგაშენი 16—18 ვერსის მანძილზე მდებარეობს ქ. ახალ-ქალაქიდან. ამ სოფელში მოსახლეობს 80 კომლი ქრისტიანი ქართველობა. გოგაშენს მაღალი მდებარეობა უჭირავს, ამ სოფლიდან მოსჩანს დიდებულ ვარძიის მაღაროები, რომელნიც მტკვრის მარცხენა ნაპირიდან თვალს ავლებენ დღევანდელ ჯავახეთის მიდამოებს. მეორე დღეს, მაისის 5-ს, აქ გავმართეთ მიტინგი. გლეხებს ხანგრძლივ ვესაუბრეთ ავტონომიაზე, რომელსაც ყველა ყურადღებით და სიხარულით შეხვდა. ავუხსენით აგრეთვე, დღევანდელი მომენტისა და დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობა. ყრილობამ ორ საათს გასტანა. ამის შემდეგ ამორჩეულ პირებს მოველაპარაკეთ. მიტინგს დაესწრნენ ს. აფნიას გლეხები, რომელიც ორი ვერსის სიშორეზე მდებარეობს გოგაშენიდან. მაისის 6 ს. აფნიას გადავედით საპროპაგანდოთ, აქაც ჩვენი აზრები დიდის აღტაცებით მიიღეს. ამ სოფელში 30 კომლი ქრისტ. ქართველობა სცხოვრობს.

მაისის 7-ს სოფ. ქილდას ამოვედით, რომელიც 15 ვერსის მანძილზე სძევს აფნიიდან. ამ სოფელში ქრისტიანი ქართველები მოსახლეობენ 80 კომლამდე. იმ დღესვე მიტინგი გავმართეთ, რომელსაც მთელი სოფელი დაესწრო. მიტინგმა აქაც მშვენივრად ჩაიარა. იყვნენ სოფელში დროებით მოსულნი, ჯარისკაცები. მიტინგის შემდეგ ამორჩეულ შეგნებულ პირებს დიდ-ხანს ვესაუბრეთ ჩვენს მიზნებზე.

მაისის 8. ქილდიდან სოფ. ჩუნჩხას გადავედით, რომელიც 5 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ამ სოფელში 80 კომლი ქრისტ. ქართველი მოსახლეა. ჩუნჩხას მახლობლადვეა სოფ. პტენა (50 კომლი ქრ. ქართველებია). ჩუნჩხაში გავმართეთ მიტინგი, რომელსაც პტენელებიც დაესწრნენ. ხალხი აქაც სიამოვნებით გვისმენდა და აღტაცებით მიეგება ავტონომიის აზრს. ყველა დიდის ნდობით და ხალისით გვეკიდებოდა. მაისის 9 ს. პტენას გადავედით საპროპაგანდოთ, ღამე აქ დავრჩით, მეორე დღეს ქ. ახალქალაქში ჩამოვედით. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ აქაური გლეხობა დიდი ხანია მორჩა ქერის დათესვას. ანეულობის დრო ჯერ არ დამდგარა. ამიტომაც გლეხობა, ვიდრე ანეულობის დრო დადგებოდეს, თითქმის უსაქმოდ ატარებს დროს, მიტინგების მართვა მათ მაინცა და მაინც ხელს არაფერში უშლის.

გ. ხ.

### სკოლების საქმე სოფლად.

**ხ. იგორეთი** (კიცხის საზოგადოება, შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს სადგურ ძირულიდან ორი ვერსის მანძილზე, სოფელი გაშენებულია მთის ფერდობზე და წარმტაც სურათს წარმოადგენს. მცხოვრებთა რიცხვი 160 კომლამდეა. ამ სოფელში სასწავლებელი არ არის დღემდე, მას გულშემატკივარი არ აღმოსჩენია. თუმცა აქაურ მოძღვრის თაოსნობით არა ერთხელ გამართულა სასოფლო ყრილობა სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ ყოველთვის ამაოდ. მიზეზი უთანხმოებაა გლეხთა და აზნაურთ შორის. უკანასკნელნი არ კისრულობენ, რომ სასწავლებლის დაარსებაში გლეხებს უღლი გაუწიონ და მარტო გლეხებს კი არ შეუძლიანთ დაარსონ. თუმცა ეს სოფელი ხარჯებში მონაწილეობს კეცხის ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებელში, მაგრამ ეს სასწავლებელი ამ სოფელზე 10 ვერსით არის დაშორებული და რასაკვირველია მოწაფეს არ შეუძლიან ამ სიშორეზე სიარული, მეტადრე ზამთარში. ამიტომ სასურველია თავისთვის დაიარსონ სასწავლებელი. ეს მათ დიდ სიკეთეს მოუტანდა და კიდევაც მოსახერხებელი იქნებოდა თუ ორივე წოდება შეერთებულის ძალით იმუშავებს. მაგრამ თუ ცალკე არ დაიარსებენ სკოლას, სასურველია შეუერთდნენ მახლობელ ზედა-ილმის სამრევლო სკოლას რომელიც უბინობისა გამო ცუდ პირობებშია. ეს მათ მით უმეტეს შეეძლოთ, რომ ეს სოფელი ზედაილემზე $^1/_2$ ვერსით არის მარტო მოცილებული და მათ ამ სოფლის სკოლით უფრო შეუძლიანთ ისარგებლონ ვიდრე კიცხის სასწავლებლით.

არც სხვა კულტურული დაწესებულება მოიპოვება ამ სოფელში.

ძველებურ ზნე-ჩვეულებას აქ პირველი ადგილი უჭირავს, როგორც მაგალითად „დიდებაზე" ჩამოვლა, რომლისთვის წელს 70 ქალს მოეყარათ თავი, სოფელ-სოფელ დაიხეტებოდენ და ისედაც შევიწროვებულ საწყალს გლეხს აწუხებდენ. თუმცა აქაურ მოძღვარს ეს არ ესიამოვნა და კიდევაც აღუკრძალა, მაგრამ არ გაუგონეს და ეს ძველი ჩვეულება არ მოიშალეს.

ამ სოფლის შვილთ, რომელნიც სხვა და სხვა ქალაქებში თბილად მოკალათებულან, თავისი სამშობლო სრულიად დაუვიწყნია და მის საკეთილდღეოთ არაფერს ჰფიქრობენ.

ზედა-ილმელი.



## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. № 3***, | 8.10 | დილ. |

## კახეთის რკინის გზა

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა I, II, III კლასის ვაგონებით.

(დრო ადგილობრივია)

თბილისიდან ყოველ დღე მიდის დილის 8 საათ.

გურჯაანის სადგურზე მოდის ნაშუადღევის 2 საათზე და 20 წ.

გურჯაანის სადგურიდან მიდის თელავისაკენ ნაშუად. 2 საათ. და 40 წ.

თელავში მოდის საღამოს 4 საათზე.

გურჯაანიდან მიდის წნორის-წყლის სადგურისკენ 3 საათ.

წნორის-წყლის სადგურზე მოდის საღამოს 4 საათ. და 10 წ.

თელავის სადგურიდან მოდის ყოველ დღე დილის 10 საათზე 15 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათ. და 35 წუთ.

წნორის-წყლის სადგურიდან მოდის გურჯაანისაკენ დილის 10 საათზე და 32 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათზე და 30 წ.

გურჯაანის სადგურიდან მოდის თბილისისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე.

თბილისის სადგურზე მოდის საღამოს 5 საათზე და 26 წ.

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს სახშვიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმ-ნევროპათოლოგი მოსე ანთიმოზის ძე

**კალანდარიშვილი**

ყოფილი ექიმი თბ. ... კლინიკისა.

ბავშვთა, შინაგან და ქარიშხლიანი სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ... ქ. № 3.

ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

**მ. ი. მაჩნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბე...ლინსკის ქ. № 4. (ტ.— 202—)

ექიმი

**მ. გ. მეუხაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი

**ივანე თიკანაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმი კბილისა

**ე. ივ. გოგარჯაშვილი-მათეშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

**გ. მ. მეხაძე**

იღებს ხალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და ხმარონ მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდნენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზვიადებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

**„ლალიძის წყალი"**




ხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

წ.

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძიძიგურები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ძ. მაილოვას-ზადი, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშენხი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ჭანარი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და ხორცეულები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება. (წ.)